საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვუნი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 15-16 დეკემბერი. 2021 წ. №213 (9332) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი





სასამართლო დავა კალიფორნიაში

რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკული სასამართლო ნონა გაფრინდაშვილის სარჩელის თაობაზე?

8

სილაქის პასუხად - სილაქი?

საქართველოს „გაშავების“ და ქართველი ხალხის ნერვების წყვეტის ხარჯზე ნაჭამი პური!..

4

გაყიდული არასამთავრობოები!

6

პუტინი მსოფლიოს აშანტაჟებს!

ირაკლი კობახიძე: ნაცებს ხალხის მხარდაჭერა არა აქვთ, ისინი სუსტდებიან!

ღიმილის მომგვრელიც კი არ არის ეს ყველაფერი, როდესაც მარგველაშვილი საუბრობს იმაზე, რომ პრეზიდენტის სასახლეში უნდა მივიდეს ის, მერე საკაშვილი და იქ დახვდეს ქალბატონი სალომე. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილმა სხვა რამე თქვა და არა ის, რაც თქვა გიორგი მარგველაშვილმა.

„რა თქმა უნდა, ქალბატონ სალომეს აქვს უფლება მაქსიმუმი სცადოს იმისათვის, რომ მოხდეს ვითარების დეესკალაცია, თუმცა ბუნებრივია რესურსები არის ამომწურავი და ყველაფრის რესურსი არცერთ ადამიანს და მათ შორის პრეზიდენტსაც არა აქვს.

* * *

„ნაციონალური მოძრაობა“ მუდმივად სუსტდება, მათ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ და ამიტომ მათი ყველა მცდელობა უპერსპექტივოა, „ნაცმოძრაობა“ სუსტდება მათ შორის იმის გამო, რომ წააგეს არჩევნები და იციან, რომ სამი წელი არავითარი არჩევნები აღარ იქნება, მათ შორის იმის გამო, რომ მათი ბელადი არის ციხეში. „ნაცმოძრაობა“ უნდა დასუსტდეს და მის დასუსტებაში არის პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების გასაღები“...



რომელი ქვეყანა მიხედავს პოლიტიკურად „გაფუჭებულ“ სააკაშვილს?

4



დათო მაღრაძე

ისმაილი დამიძახეთ!

— თუ დამიძახებთ ისმაილს, მოვალ,
სახელს აღვიქვამ, როგორც განაჩენს,
ეს არის ჩემი ღვთიური მოვალეობა, ასე სურდა მამაჩემს.
და რადგან ასე სურდა მამაჩემს,
მამის სურვილი უნდა გადარჩეს...
აღვიქვამ სახელს, როგორც განაჩენს,
მოგვიანებით გეტყვით დანარჩენს.

ჩემს შეყვარებულს ჰქვია Miss Smile,
აქვს გრძელი თმა და გრძელი ფეხები,
და როცა ვნებით ამბობს: დათო მაღრაძე
ისმაილი დამიძახეთ! ისმაილ...
მის გახსნილ ბაგეს ბაგით ვეხები.
მაშ ასე, ჩემს ქალს ჰქვია Miss Smile,
მიღიმოდა და... დაიწყო ომი,
მას შემდეგ, როცა ისმის — ისმაილ!
ვცხადდები ჩემი ოფიცრის ფორმით.

ქუდს Barsalimo-ს წარწერა შვენის
და ეპოლეტებს ვარსკვლავი ზეცის,
მე მოვალ, რათა ჩემით და შენით
გადარჩეს, რასაც თაყვანი ვეცით.
ჩამოვარიგებ მაჯის Tissot-ებს,
— ისმაილ! — ყ-დან უნდა ისმოდეს,
თუ აფრას გაშლით, შევძლებ ზღვისოდენს,
თუ ფრთა გაშალეთ, შევძლებ ცისოდენს.

დაგიბრუნდებით, როგორც ულისე...
თუმცა სახსარში გაცვდა მენისკი,
მე უიმბლდონის დიად ტურნირზე
ვიბრძოლებ თქვენი გადარჩენისთვის.
...როგორც მიეცა ათენს რაციო
და ზღვის ნაპირებს ვერცხლის ოლივი,
მსურს, სიტყვა ლექსად გადავაქციო
და მოგაწვდინოთ მაშველ რგოლივით.

...ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ვიბრძვით, და არა ბატონის ცვლილებისთვის

ღვთის წყალობით საქართველოში ის ხალხიც არსებობს, ვინც მზეს გაღვიძებას ასწრებს, ვაზს უვლის, მტევანს წურავს და მსოფლიოს საუკეთესო ქართულ ღვინოს სთავაზობს. ვინც ხორბალს თესავს, თონეში პურს აკრავს და თბილისური სარდაფიდან პურის სურნელს აფრქვევს, ვინც ვირუსით დაავადებულს დამეს უთევს, ვინც ქართულ ხელნაწერს სულს უბერავს, რომ მტვერი არ დაედოს...
ასეთ ხალხზე დგას საქართველო...

იხ. 3 გვ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ბრიუსელში

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც, შარლ მიშელისა და ურსულა ფონ დერ ლაიენის ერთობლივი მიწვევით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში მიიღებს მონაწილეობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ევროკომისიის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის — სლოვენიის პრემიერ-მინისტრის ერთობლივი მიწვევით, 15 დეკემბერს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ბრიუსელში გაიმართება.

მთავრობის მეთაური, ბელგიის სამეფოში დელეგაციასთან ერთად დღეს გაემგზავრა. სამიტზე მიიღებენ პოლიტიკურ დეკლარაციას, რომელშიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხების ასახვა. დეკლარაციაში კიდევ ერთხელ დადასტურდება ევროკავშირისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგიული მნიშვნელობა, ასევე, საქართველოსა და პარტნიორების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„ქართული მხარის მოლოდინია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის აღნიშვნა, როგორიცაა ევროკავშირის ერთიან ბაზარზე თანდათანობითი ინტეგრაცია, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი დღის წესრიგის დამტკიცება, რომლის შემუშავებაშიც ევროკავშირსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, საქართველო აქტიურად იყო ჩართული. შედეგად, განისაზღვრა ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების, ეკონომიკების, ინსტიტუტების, საზოგადოებების, გარემოსდაცვითი და ციფრული ტრანსფორმაციის მექანიზმების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ახალი დღის წესრიგი მოიცავს კონკრეტული მიზნების მიღწევას, რაც ევროკავშირის ახალი რეგიონული საინვესტიციო გეგმის მეშვეობით განხორციელდება. საქართველოსთვის ეს ნიშნავს სატრანსპორტო, ენერგო და ციფრული დაკავშირებადობის გაძლიერებას, მათ შორის, შავი ზღვის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების გზით“.

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მეთაური ასევე გამართავს მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს. ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდება. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი იმყოფებიან.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და განახლების, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების საკითხი განიხილეს.

სხდომის მონაწილეებმა, ასევე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროსა და კიბერუსაფრთხოების სფეროში რეფორმების მიმდინარეობაზეც იმსჯელეს. სხდომაზე, ასევე, განხილულ იქნა რეგიონული უსაფრთხოების გარემო და შესაბამისი, მიმდინარე პროცესები.

„ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, როგორც ფუძემდებლური დოკუმენტის საბოლოო ვერსიის პარლამენტისთვის დასამტკიცებლად გადაგზავნა 2022 წლის თებერვალში იგეგმება. ამასთან, 2022 წლის პირველ კვარტალში იგეგმება საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლება საქართველოს მთავრობის მიერ, ისევე, როგორც ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის დამტკიცება. აღნიშნულთან ერთად, იგეგმება კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია, რამდენადაც წარმოადგენს საბჭოს აპარატის პრიორიტეტულ სამოქმედო მიმართულებებს. რეფორმა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ზოგადად სახელმწიფოსთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის“, — განაცხადა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა სერგო თურმანიძემ.

„დელტაში“ ახალი სადაზვერვო მანქანა შექმნეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებული ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა ახალი სადაზვერვო მანქანა დაათვალიერა და მისი ტაქტიკური და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია „დელტას“ კონსტრუქტორებისგან მოისმინა.

„დელტაში“ წარმოებული ახალი სადაზვერვო მანქანა სრულად აკმაყოფილებს თავდაცვის ძალების მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. 330 ცხენის ძალის მქონე ძრავით აღჭურვილი სადაზვერვო ჯავშანმანქანა სხვადასხვა კალიბრის ვაზნებისგან დაცვას უზრუნველყოფს და შვიდ სამხედრო მოსამსახურეზეა გათვლილი. მანქანას მოასფალტებულ გზაზე 110 კილომეტრის განვითარების შესაძლებლობა აქვს და ტექნიკურად 60 სმ-იანი თხრილის, 40 სმ სიმაღლის ვერტიკალური საფეხურისა და მოუმზადებლად 80 სმ სიღრმის წყლის დაბრკოლების გადალახვა შეუძლია. პროექტის მიხედვით, ახალ ჯავშანმანქანაზე, შესაძლებელია სხვადასხვა სადაზვერვო აღჭურვილობისა და დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდულის დამონტაჟება.

„დელტა“ სხვადასხვა დანიშნულებისა და შესაძლებლობების ჯავშანტექნიკას აწარმოებს, სადაზვერვო მანქანის აღნიშნული მოდელი კი, ცენტრში პირველად დამზადდა. სამომავლოდ იგეგმება სადაზვერვო ჯავშანტექნიკის სერიული წარმოება და ექსპორტზე გატანა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე დაათვალიერა „დელტას“ მიერ წარმოებული სამხედრო უნიფორმები, სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო, ბორტსაწინააღმდეგო ნაღმი. ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ-ებრაულ იარაღის საწარმო „დელტა სიეიეი-შიც“ იმყოფებოდა, სადაც უახლესი აპარატურით იარაღის წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნო. ქართულ-ებრაულ საწარმოში უახლესი აპარატურითა და უმაღლესი ხარისხით ხდება იარაღის გალვანირება, ქრომირება და ანოდირება. აპარატურა ეკოლოგიურად უსაფრთხოა და საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრთან ერთად ესწრებოდნენ თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე-გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ აზარაშვილი, „დელტას“ ხელმძღვანელი და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია — ავტორებს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ **ჯენარო ქრისტესაშვილსა** და მედიცინის დოქტორ **მარიამ ჭიპაშვილს** მონოგრაფიისათვის „სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი დარღვევები“;

2. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია — ავტორთა ჯგუფს: აკადემიურ დოქტორ **ბუბა კუდავას** (ხელმძღვანელი), დოქტორანტ **ნესტან ბაგაურს,** აკადემიურ დოქტორ **ნანა ბურჭულაძეს,** აკადემიურ დოქტორ **გიორგი გაგოშიძეს,** აკადემიურ დოქტორ **როზეტა გუჯეჯიანს,** დოქტორანტ **ნიკოლოზ ჟღენტს,** აკადემიურ დოქტორ **გოჩა საითიძეს,** დოქტორანტ **ნათია ფონიავას,** აკადემიურ დოქტორ **ნესტან ჩხიკვაძეს,** დოქტორანტ **ნათია ხიზანიშვილს** — ნაშრომთა ციკლისათვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ: 1. „ტაო-კლარჯეთი. ისტორიულ-კულტურული ნარკვევი“; 2. „ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები. კატალოგი“;

3. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია — ავტორთა ჯგუფს: გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ **ავთანდილ ოქროსცვარიძეს,** გეოლოგიის დოქტორ **კახაბერ ქოიავას,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **ფერანდო მაისაძეს** ნაშრომისათვის „საქართველოს გეოტურიზმის პოტენციალი, კავკასია“ — ისტორია, კულტურა, გეოლოგია, გეოტურისტული მარშრუტები და გეოპარკები;

4. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია — ავტორთა ჯგუფს: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ნიკოლოზ ჩიხრაძეს,** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ედგარ მატარაძესა** და დოქტორ **თეოდორ კრაუტჰამერს** — ნაშრომთა ციკლისათვის „აფეთქებისგან დამცავი სისტემა“;

5. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია — აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძეს** ნაშრომისათვის „ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“ (ტ. I), „განთიადის განმანათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“ (ტ. II);

6. რაფიელ აგლაძის სახელობის აკადემიური პრემია — ავტორთა ჯგუფს: ქიმიის დოქტორ **მზია ციცაგს,** ქიმიის დოქტორ **იმედა რუბაშვილს,** ქიმიის დოქტორ **მარიამ ჩხაიძეს,** აკადემიკოს **ვლადიმერ ციციშვილსა** და ქიმიის დოქტორ **ქეთევან ებრალიძეს** ნაშრომთა ციკლისათვის „აგროსამრეწველო ნარჩენების გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიები“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გაგზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას!

ძვირფასო ბატონებო, მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის. გავეცანი თქვენ მიერ, გამოგზავნილ შეკითხვებს და შევეცადე, გულწრფელი პასუხი გამეცა.

პატივისცემით
დათო მაღრაძე
12.XII.2021

შეხვედრა რომის პაპთან

...ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ვიბრძვით, და არა ბატონის ცვლილებისთვის

– იძნებ, უფრო ვრცლად (სიტყვაბარაძიანად) თქვათ თქვენს „ბარაქიან მიწაზე“.

– დავიწყებ იმით, რომ ჩემი პოემა – **„ბარაქიანი მიწა“** ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ნათელ ხსოვნას, ვინც სხვა შედევრულ ტექსტებთან ერთად ტომაზ სტერნზ ელიოტის „ბერწი მიწის“ ქართული ვერსიაც გვისახსოვრა.

როგორც ელიოტი უძღვნის თავის „ბერწ მიწას“ ეზრა პაუნდს და იქვე აღნიშნავს, რომ მასზე უფრო მაგარ ოსტატს ეძღვნება მისი პოემა, სწორედ ამ ლოგიკით მივუძღვენი ჩემი პოემა ბატონ ოთარ ჩხეიძეს და კიდევ იმიტომაც, რომ მსურდა მამების თაობის მიმართ ჩემი პატივისცემა გამომეხატა, მათი ღვაწლი აღმენიშნა და დამეფასებინა...

ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებისათვის ნებისმიერი სიახლის შეთავაზება ძველის აღიარებით დაიწყოს.

ელიოტის „ბერწი მიწა“ უნაყოფობით შეწუხებული ავტორის განცდაა, როდესაც უნაყოფოა მიწაც, უნაყოფოა მეფეც და ა.შ. მე, როგორც სამხრეთული ემოციის კაცმა, ამ უნაყოფობაში მოვისაკლისე თავგანწირვის ვნება და გამიჩნდა სურვილი საკუთარი თავშეწირვით მომეყვანა წვიმა, ან, როგორც ვაჟა იტყოდა, თავად მოვსულიყავი წვიმად, რათა დამესრულებინა გაუსაძლისი გვალვა, გაუთავებელი მოლოდინი წვიმისა და მიმეცა მუხტი ახალი სიცოცხლისათვის.

ერთი სიტყვით, შეიძლება თქმა, რომ ჩემი „ბარაქიანი მიწა“ ერთგვარი ექოა ელიოტის „ბერწი მიწის“, რომელიც 100 წლის შემდეგ გაისმა.

„ბარაქიან მიწას“ საფუძვლად უდევს გუსტავ მალერის „მიწის სიმღერის“ ექვსნაწილიანი სიმფონიის არქიტექტონიკა.

როგორც ცნობილია, მალერმა რიგით მეცხრე სიმფონიას არ დაარქვა მეცხრე, რადგან ბეთჰოვენის და შუბერტის სიმფონიური აღსასრული სწორედ მეცხრე სიმფონიის დასრულებას დაემთხვა. ამიტომ უწოდა მალერმა თავის რიგით მეცხრე სიმფონიას „მიწის სიმღერა“ და ამიტომ და არა მარტო ამიტომ შევეხმიანე „მიწის სიმღერას“ „ბარაქიანი მიწით“.

„ბარაქიანი მიწა“ დავწერე მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად.

ღირებულებითმა კრიზისმა, როდესაც საყოველთაო ტენდენცია მიმართულია იქით, რომ ადამიანი დარჩეს კარგისა და ცუდის გარჩევის გამოცდილების გარეშე. გამიჩინა განზრახვა, მოქალაქეში ადამიანს გამოვსარჩლებოდი.

ჩემი თვალსაწიერიდან ასე ჩანს, რომ სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებას საუკუნეები დასჭირდა და XXI საუკუნეში უკვე ადამიანს გაუჭირდა მოქალაქეში და თანდათან იწყო მასში გაქრობა. თითქოს თანამედროვე სახელმწიფოს ადამიანი აღარ სჭირდება. ტრადიცია, როგორც ასეთი, პროგრესის მუხრუჭად მოინათლა. გუსტავ მალერის ფორმულა, რომ ტრადიცია ცეცხლის გადაცემაა და არა ფერფლის თაყვანისცემა, თანამედროვე საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა. ადამიანის თვისებები, როგორიც არის თანაგრძნობა, თანადგომა, გულისხმიერება, ჭირისუფლობა, თუ დღესასწაულის გაზიარება, თითქოს ზედმეტი გახდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სიტყვა „შობაც“ მოიზედმეტა ევროკომისიამ, რასაც რომის პაპის ევროკავშირსადმი, მე ვიტყოდი, გმირული მიმართვა მოჰყვა.

გმირულს ვამბობ, რადგან პაპმა ფრანცისკემ ამ მიმართვით ფსევდოჰუმანური პოლიტკონიუქტურის ღვარცოფის წინაშე დაიყენა თავი. მან აღნიშნული ღირებულებითი კრიზისის ტენდენციას იდეოლოგიური კოლონიზაცია უწოდა.

ევროპა, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით, ვფიქრობ, პაპის მსოფლმხედველობაში უფრო ირეკლება, ვიდრე ევროკავშირის ბიუროკრატიის პოზიციაში.

მეჩვენება, რომ ერთადერთ „ღირებულებას“, რასაც მოარული ტრენდი აღიარებს, ეს არის უპატივცემულობა. ოღონდ ამ „ღირებულებასაც“ ცალმხრივად აქვს ეფექტი. ამ ტრენდის მიმდევარი, ზნეობრივი თვალსაზრისით, კაცობრიობის მონაპოვარს არ სცემს პატივს. აგრეთვე, ვისთვისაც ეს მონაპოვარი ძვირფასია, არც მათ სცემს პატივს, მაგრამ მისი ამ უპატივცემულობის ცალმხრივობა იმაში მდგომარეობს, რომ სხვათაგან, მისი უპატივცემულობის პატივისცემას მოითხოვს. ასე იკვეთება, რომ „პროგრესისტს“ უპატივცემულობაზე აქვს ექსკლუზივი. აშკარა ცდილობაა, რომ კანტისეული **„ზნეობრივი კანონი ჩემში“** ჩანაცვლდეს დოსტოევსკისეული **„თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულიათი“**.

შთაბეჭდილება მექმნება, რომ თუ მდინარეს ბავშვი მიაქვს, ენჯეოების უმეტესობა ბრიფინგებზე მდინარის უფლებებზე ალაპარაკდება.

სწორედ ამ ფიქრებში და ემოციებში ჩაისახა „ბარაქიანი მიწის“ იდეა.

ბავშვის საშველად მდინარეში ისე გადავხტი, რომ ისიც ვიცოდი მოსამართლე გამამტყუნებს და მეტყვის, რომ მდინარის ამ მონაკვეთზე წყალში შესვლა აკრძალულია.

მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად, – ჩემმა ამ ფრაზამ განაპირობა პაპთან შეხვედრაც.

პაპი ფრანცისკე იმ ძალზე მცირერიცხოვან ადამიანთა კრებულს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია, შენში ძეშეცდომილის ემოცია აღძრას, მასთან შეხვედრამ რემბრანდტის „ძეშეცდომილის დაბრუნება“ გამახსენა. აღმსარებლობას არ ვგულისხმობ, მისი პიროვნული ღირსების ხაზგასმა მსურს, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა უკიდეგანო თავმდაბლობა და სათნოება განადიდებს ადამიანს.

– ახლა რას საძმიანოობთ, რა გეგმები გაძვთ?

– გაწერილი გეგმები არასოდეს მქონია, რასაც სამყარო მთავზობს, მადლიერებით ვიღებ და წუთისოფელს ვეთანამშრომლები.

შობა ახლოვდება ...ვწერ **„პოეტის საშობაო ეპისტოლეს“,** რომელიც რეზო გაბრიაძის ხსოვნას ეძღვნება და ამ ლექსის პრეზენტაცია მის თეატრში შედგება.

ახლახან დავამთავრე წერილი დოსტოევსკის 200 წლისთავთან დაკავშირებით და უკვე დაიბეჭდა საიუბილეო კრებულში, რომელიც რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა შეადგინა, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის თანამედროვე მწერლები არიან წარმოდგენილი.

ვთანამშრომლობ დანტე ალიგიერის საზოგადოებასთან რომში, რომელმაც დანტეს ოქროს მედლით დამაჯილდოვა და პოეტის 800 წლისთავის საიუბილეო საბჭოს წევრობის პატივი მომაგო.

ვმუშაობ თურქ პოეტებთან „ბარაქიანი მიწის“ თურქულ ვერსიაზე.

დასრულდა „ბარაქიანი მიწის“ ესპანური თარგმანიც და იმედი მაქვს, ესპანელ გამომცემლებთან მალე შედგება კონტაქტი.

ახლახან წიგნის მაღაზია „ბიბლუსი“-ს ქსელში შევიტანე ჩემი ახალი წიგნი „მეტაფორა“, რომელიც გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გამოსცა.

– რარიგ განსაზღვრავთ კაცის გასასვლელ გზას – „მამის სახლიდან მამის სახლისკენ?

– „მამის სახლიდან მამის სახლისკენ“, – ასეთია კაცის გასავლელი გზის ჩემეული განსაზღვრება.

„მე მამის სახლში აღვავლენ ლოცვას,
მაინც რა არის ეს მამის სახლი...
მარადიული სიძველე როცა
მარადიული განცდაა ახლის“.

უნდა წახვიდე მამის სახლიდან, რომ მთელი შენი ცხოვრებით დაბრუნდე. მე წავედი მამის სახლიდან და მას მერე უკან ვბრუნდები... წავედი მამის სახლიდან და თან წავიყოლე ჩემი ბავშვობა. ბავშვობაში სათამაშო მშვილდით გატყორცნილ ისარს მივდევ და მჯერა, რომ ეს ისარი მამის სახლში დამაბრუნებს.

...ხანდახან ხუმრობით მითქვამს, რომ ნახევარი დასავლეთევროპული ლიტერატურა ჩემი ბავშვობის სახლშია ნათარგმნი.

მამაჩემის და მამიდაჩემის, – ელგუჯა და თამარ მაღრაძეების მიერ არის ნათარგმნი ინგლისურიდან ქართულად პირველი ევროპული რომანი – **„მეფე არტურის ზეობის ამბავი“**. ასევე **„უთავო მხედარი“, „თეთრი ბელადი“, „კაპიტან ბლადის ოდისეა“, „შერლოკ ჰოლმსი“, „დორიან გრეის პორტრეტი“, „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“** და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი.

მახსოვს მამაჩემი და ბატონი ვახტანგ ჭელიძე რომ თარგმნიდნენ გოლზუორთის „ფორსაიტების საგას“ და საღამოთი ხშირად ჩვენთან ვახშმობდნენ.

როცა დავწერე, რომ **„სამი რამ აკლია სამყაროს: ცას კიბე, ზღვას ხიდი და ეპოქას რედაქტორი“, რედაქტორში სწორედ ძვირფას ვახტანგ ჭელიძეს ვგულისხმობდი.**

როცა მამა წუთისოფელს განეშორა, მე არ მიზრუნია მისი ხსოვნის განსადიდებელად, როგორც ჩვენში ხშირად ზრუნავენ ოჯახის წევრები, როცა ცნობილი კაცი ამ ქვეყნიდან მიდის. ერთადერთი, მერიის გადაწყვეტილებით ჩემი ბავშვობის სახლის სადარბაზოზე, ყაზბეგის ქ. №14-ში გაჩნდა თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა. ეს იყო და ეს... და რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა გამომცემლობა „პალიტრა L“-მა საკუთარი ინიციატივით ქართული პროზის საგანძურის სერიით გამოსცა მამას მონოგრაფია – „გრიგოლ ორბელიანი“.

– რა აზრის ხართ თანამედროვე პოეზიაზე და საერთოდ, პოეზიის დანიშნულებაზე?

– რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას, შეფასების პრეროგატივა კრიტიკოსებისთვის დამითმია.

ზოგადად, პოეზიის მისიის შესახებ ვიტყვი:
ღმერთმა შექმნა ადამიანი.
სახელმწიფომ შექმნა მოქალაქე.
პოეზიის დანიშნულება მოქალაქეში ადამიანის გადარჩენაა.
როგორც წვეთში ოკეანე უნდა გადარჩეს,
როგორც წამში მარადისობა,
ისე მოქალაქეში – ადამიანი.

ჩემთვის პოეზია ისეთივე საიდუმლოა, როგორც ზიარება. როგორც ევქარისტიის დროს პური და ღვინო გადაიქცევა ქრისტეს სისახლად და ხორცად, ისეთივე საიდუმლოა უბრალო სიტყვების გადაქცევა ლექსად.

...როცა პოეტი სუნთქავს, შესაძლოა, რომ ნემსის ყუნწშიც ტრიუმფალური თაღი გაიხსნას.

აი, სტროფი ჩემი ახალი „პოეტის საშობაო ეპისტოლედან“:

ფანჯრის რაფიდან ჩემ სხეულს ლოგოსს
ვანდობ და ვიტყვი:
– მიწყალე, მისტერ!
...სიტყვები ლექსად იქცევა, როგორც
პური და ღვინო იესო ქრისტედ.

– გავურიოთ ცოტა პოლიტიკაც. როგორ ხედავთ რეალურ და პარალელურ საქართველოს?

– ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ვექტორი ბოლო ხანს ჩრდილოეთისკენ კი არა, დამოუკიდებლობისკენ გადაიხარა, რასაც მივესალმები. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვფიქრობ, ყველას უნდა შევახსენოთ, რომ **ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ვიბრძვით, და არა ბატონის ცვლილებისთვის.**

შთაბეჭდილება მექმნება, რომ არსებობს რეალური და პარალელური საქართველო. რეალურში ისტორია თავის გზით მიედინება, პარალელურში ისტორიის ნაცვლად ისტერიაა. რეალურში ისტორიას ისტორიკოსები წერენ, პარალელურში ისტერიკოსები.

პარალელურ საქართველოში რუსეთს ომი მოვუგეთ და მაპ-ზე უკეთესიც მივიღეთ, პარალელურ საქართველოში დავითგარეჯა საქართველო არ არის. პარალელურ საქართველოში ქართველი ოლიმპიელების გამარჯვებაც აღიზიანებთ და ა.შ.

ასეთი მოცემულობა ბევრმა რამემ განაპირობა, მათ შორის იმან, რომ ჩვენში ინფორმირებულობა განათლებაში ვერ გადადის. ამას სულიერი ხერხემალი, კულტურა სჭირდება, რისი ნაკლებობაც თანამედროვე საქართველოში გვაქვს. შესაბამისად, არც ქარტეხილი გადადის გამოცდილებაში, რადგან მხოლოდ განათლებულ და კულტურულ საზოგადოებას აქვს ქარტეხილის გამოცდილებაში გადატანის უნარი.

საზოგადოების ჩემეული ფორმულირება ასეთია, **– საზოგადოება მოსახლეობის ის ნაწილია, ვინც განსაცდელის დროს ღირსებას ინარჩუნებს.**

ვფიქრობ, მოსახლეობის პოლარიზაცია საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც მაშინდელმა „პროგრესისტმა“ სოციალ-დემოკრატებმა ხალხი არისტოკრატიის წინააღმდეგ განაწყვეს და გააქეზეს. შემდეგ უკვე ინტელიგენციის წინააღმდეგ შემართეს მოსახლეობა. შემდეგ „ჩარეცხილებს“ დაუპირისპირეს თანამედროვე „პროგრესისტები“.

ეს დაპირისპირება, შესაძლოა, ასე ფორმულირდეს:

– მოსახლეობა საზოგადოების წინააღმდეგ. მოსახლეობას აქეზებენ, რომ საზოგადოებას ზნეობრივი სასამართლო მოუწყოს.

ცხადია, ზნეობრივი უმანკოებით არც არისტოკრატია გამოირჩეოდა და არც ინტელიგენცია, მაგრამ ისეთი აგრესია, როგორიც მათ წინააღმდეგ მოსახლეობაში გააღვივეს, სამოქალაქო შეგნების დაბალ საფეხურზე მეტყველებს.

გარეთ XXI საუკუნეა და ჩვენ კალენდართან აღმოვჩნდით კონფლიქტში. პოლარიზებული მხარეები რომ თანაცხოვრების კულტურას შეურიგდნენ, პირველ ყოვლისა, კალენდართან უნდა შევრიგდეთ.

პირადად ვინ ვის შეურიგდება და ვინ ვისთან გატეხს პურს, ეს ყველა ჩვენგანის ინდივიდუალური არჩევანია.

მთავარი ის არის, რომ დიდი შერიგება უნდა მოხდეს კალენდართან და კანონთან. ხელისუფლებას მოქალაქეების გრადაციის უფლება არა აქვს. მან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, ეს მისი ვალდებულებაა.

როგორც ღვთის წინაშე ვართ თანასწორი, ასევე უნდა ვიყოთ კანონის წინაშე.

ღვთის წყალობით საქართველოში ის ხალხიც არსებობს, ვინც მზეს გაღვიძებას ასწრებს, ვაზს უვლის, მტევანს წურავს და მსოფლიოს საუკეთესო ქართულ ღვინოს სთავაზობს. ვინც ხორბალს თესავს, თონეში პურს აკრავს და თბილისური სარდაფიდან პურის სურნელს აფრქვევს, ვინც ვირუსით დაავადებულს ღამეს უთევს, ვინც ქართულ ხელნაწერს სულს უბერავს, რომ მტვერი არ დაედოს... ასეთ ხალხზე დგას საქართველო...

პოეტს რედაქციის შეკითხვებზე
პასუხის გაცემა სთხოვა
გურამ გოგიაშვილმა

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ „ᲒᲐᲤᲣᲭᲔᲑᲣᲚ“ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ?



„ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ კვლავ აქტიურად ცდილობს, რომ მკურნალობის მიზნით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ქვეყნიდან გაიყვანოს. ამისათვის უნდა მომზადდეს ექიმების ერთგვარი დასკვნა, რომ ექს-პრეზიდენტის მკურნალობა ვერ ხერხდება საქართველოში და იგი საზღვარგარეთ საჭიროებს მკურნალობის გაგრძელებას. თუმცა, მედიკოსების შეფასებით, რეალურად წინაპირობა იმისა, რომ სააკაშვილი სამკურნალოდ სხვა ქვეყანას უნდა გადაეცეს, არ არსებობს.

მანამდე აქტიურად განიხილებოდა უკრაინისთვის მიხეილ სააკაშვილის გადაცემის საკითხი, თუმცა, ამასთან დაკავშირებით უკრაინულ მხარეს მზაობა არ გამოუთქვამს, არც თავად მიხეილ სააკაშვილს გამოუხატავს სურვილი, დაბრუნდეს უკრაინაში.

ამის შემდეგ გერმანიის ჯერი დადგა და დღეს უკვე კიდევ ერთი ქვეყნის სახელწოდება გაჟღერდა, — „ნაცმოძრაობის“ დეპუტატის, **ბუბა კიკაბიძის** განცხადებით, „პოლონელებს უთქვამთ, ჩვენ მოგვეცით, ჩვენ მოვარჩენთ და მივხედავთო“, თუმცა, ოფიციალური განცხადება საქართველოს არც გერმანიიდან და არც პოლინეთიდან არ მიუღია. შესაბამისად, ეს არის სურვილი და მხოლოდ სურვილი ოპოზიციისა, რომ მიხეილ სააკაშვილი როგორმე ქვეყნიდან გაიყვანოს.

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, „ქართული ოცნება“ მიხეილ სააკაშვილის ქვეყნიდან გაყვანას, სავარაუდოდ, არ დათანხმდება. მისივე თქმით, დღეს პოლიტიკური და იურიდიული ბერკეტი არ არსებობს იმისა, რომ ყოფილი პრეზიდენტი სხვა ქვეყანას გადაეცეს. თანაც, ამის არც სამედიცინო საფუძველი არ არსებობს.

„ექიმების დასკვნა უნდა დაიდოს, რომ სააკაშვილი საჭიროებს მკურნალობას საზღვარგარეთ და ის მკურნალობა, რაც მას სჭირდება, საქართველოში შეუძლებელია. მეორე მხრივ, არ არსებობს იურიდიული მექანიზმები, რომ მსჯავრდებული გაყვანილი იყოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა სახელმწიფოში, ასეთი პრეცენდენტი არ მახსენდება.

ჯერ ჩვენ პოლონეთის ოფიციალური პირებისგან ასეთი განცხადება არ მოგვისმენია. „ქართული ოცნება“, დიდი ალბათობით, არ დათანხმდება ამას და, რომც დათანხმდეს, სააკაშვილი შესაძლოა, საქართველოში აღარ დაბრუნდეს. „ქართული ოცნებისთვის“ ეს შვება იქნებოდა, რომ სააკაშვილი საქართველოდან წასულიყო უკვე პოლიტიკურად „გაფუჭებული,“ რადგან მან საქართველოში ჩამოსვლით მიზნებს ვერ მიაღწია და საქართველოდან წავა, როგორც მისიაშეუსრულებელი.

თუ ამ მიზნით მოხდება მისი გაშვება, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ აწყობდეს ეს, მაგრამ არის მეორე საკითხი, რამდენად გამართლებულია პოლიტიკური და იურიდიული თვალსაზრისით, რადგან არ შეიძლება ვიღაცის კაპრიზებზე და მოთხოვნებზე დაყრდნობით, რომ ადამიანი სადღაც გაუშვა, ისე, რომ მან ის სასჯელი არ მოიხადოს, რაც მას ეკუთვნის, — ეს უკვე სახელმწიფოს პრესტიჟის საკითხია. ხელისუფლებას რომც ჰქონდეს ამის სურვილი, ვერ ვხედავ ვერც იურიდიულ და ვერც პოლიტიკურ ბერკეტებს, რომ ის გაუშვან ქვეყნიდან“, — განაცხადა ზაალ ანჯაფარიძემ.

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** თქმით, **ხელისუფლება უბრალოდ, იტყვის, რომ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხთან თავად არაფერ შუაში არ არის და ეს მართლმსაჯულების საქმეა. მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“ ყოფილი პრეზიდენტის გაშვება არ აწყობს.**

არის და კონსტრუქციულადაა განწყობილი“, — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ For.ge-სთან.

ბუბა კიკაბიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილს მისი და უკრაინის პრეზიდენტის **ვლადიმერ ზელენსკის** შეხვედრის შესახებ ესაუბრა. ამის შესახებ კიკაბიძემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, როდესაც ყოფილი პრეზიდენტის სანახავად გორის სამხედრო ჰოსპიტალში მივიდა. ამასთან, კითხვაზე, არის თუ არა სააკაშვილი თანახმა, რომ უკრაინაში გადაიყვანონ, კიკაბიძე ამბობს — „არ მგონია.“

„ვილაპარაკეთ იმაზე, ზელენსკი როგორ შემხვდა — ვუთხარი, შენი მოქალაქეა და უნდა წაიყვანოთ, თორემ მოკლავენ-თქო. მითხრა — დღესვე დავიწყებ რეკვასო. იმის შემდეგ ჩამოვიდა სახალხო დამცველი, შემდეგ ადვოკატი. პოლონელებს უთქვამთ, ჩვენ მოგვეცით, ჩვენ მოვარჩენთ და მივხედავთო. ამ ყველაფერს დიდი გამოხმაურება ექნება. აქ ისეთი სისულელეები ხდება სასამართლოზე, ახლა, ალბათ, ბაიდენის კარადა რომ გავაღოთ, იქ შეიძლება 200 „კოსტიუმი“ იყოს. ჩვენს დაბალ დონეზე ლაპარაკობს ეს ყველაფერი“, — განაცხადა ბუბა კიკაბიძემ...

ᲜᲘᲙᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ

ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲒᲐᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲜᲐᲭᲐᲛᲘ ᲞᲣᲠᲘ!..

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ქᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ნინო ლომჯარია, რომელიც მუდამ სააკაშვილის სადარაჯოზეა. პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი ᲒᲘᲐ ᲕᲝᲚᲡᲙᲘ მიიჩნევს, რომ ლომჯარიასთვის „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური ოპონენტი და არა ხელისუფლება, რომელიც უნდა აკრიტიკო.

ლომჯარიას მსგავსად, სააკაშვილს ასევე მეორე „სახალხო დამცველი“ გამოუჩნდა. პრეზიდენტყოფილს გამუდმებით იცავს და მის გათავისუფლებას „უსაფრთხოების არმქონე“ ქართული ციხიდან მოითხოვს **მარიამ ჯიშკარიანი** და მისი „ემპათია“. მისი თქმით, როდესაც ევროსასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ციხეთა სისტემა არ იყო ნავალნისთვის უსაფრთხო, ამის ნიადაგზე იგი გათავისუფლდა. ჯიშკარიანის აზრით, ანალოგიური პრინციპი უნდა გატარდეს სააკაშვილის მიმართაც.

მართლაც, ყალიბდებიან თუ არა „ქართული ოცნების“ ოპონენტებად ცალკეული ორგანიზაციები?

* * *

„ᲧᲝᲤᲘᲚᲘ პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** მარიამ ჯიშკარიანთან პირველ შეხვედრას იხსენებს და განმარტავს, რომ მარიამ ჯიშკარიანი იმთავითვე „ნაციონალური მოძრაობის“ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდა.

„პირველად, როდესაც მარიამ ჯიშკარიანი შემოიყვანეს არასამთავრობო სექტორში, დავით სიხარულიძემ მოიყვანა იუსტიციის სამინისტროში. იმ დროს ციხეებში მონიტორინგის ჯგუფს ვქმნიდით, დავინახე, იჯდა ეს უცნობი ადამიანი. ვიკითხე, ვინ არის ეს ქალი-მეთქი, რადგან ჩვენ არ ვიყავით გაფრთხილებულნი, ჩვენ გვყავდა არასამთავრობოები, ვინც მუშაობდნენ ამ სფეროში. დათო სიხარულიძემ კი მითხრა, ეს ადამიანი ჩვენიანია, ნუ ნერვიულობ, ნანა, რასაც დავავალებთ, იმას გააკეთებსო. მე ვუთხარი, რად გვინდა ასეთი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს? ხალხის მეტი რა გვყავს, ამას რა გამოცდილება აქვს, საიდან მოვიდა? ჩემიანია, რა იყო, ეს ერთი ადამიანი მიიღეთო. ეს იყო „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი და პირადად დათო სიხარულიძის მოყვანილი, რომელიც თავდაცვის მინისტრი გახდა მოგვიანებით. დათო სიხარულიძეს კიდევ ვინ დაავალა მისი მოყვანა და რის გამო შემოიყვანა მარიამ ჯიშკარიანი ჩვენთან, არ ვიცი. ის დაფინანსებები, რომელიც მასზე მოდიოდა, ის პიარი, რომელიც მათ მარიამ ჯიშკარიანს დაუმსახურებლად შეუქმნეს, ესეც მოდიოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტური საქმიანობიდან, რომლებიც მაშინ ყველა ფონდს და ყველაფერს აკონტროლებდნენ და დღესაც აკონტროლებენ საერთაშორისო ფონდებს და დაფინანსებებს.

„თავისუფლების ინსტიტუტი“ და „ნაცმოძრაობა“ ერთი და იგივეა, ტოლობის ნიშანია მათ შორის. ამიტომაც ხდებოდა ამ ადამიანის ორგანიზაციის დაფინანსებაც და მხარდაჭერაც. დღეს მარიამ ჯიშკარიანი ნაციონალებს უხდის ხარკს“...

რაც შეეხება ნინო ლომჯარიას, ნანა კაკაბაძე ფიქრობს, რომ ამ ადამიანმა ჩამოშალა ომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოში, თავისი მიკერძოებულობით, ტენდენციურობით, თანაც, ამ ტენდენციურობა-მიკერძოებულობაში პროფესიონალიზმი არ ჩანს.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილიც** ადასტურებს, რომ **ნინო ლომჯარია, მარიამ ჯიშკარიანი და სხვები ასე თავგადაკლულად იმიტომ იცავენ სააკაშვილს, რომ მასთან დაკავშირებულნი არიან ნაცკლიენტურით. ასეთნაირად აქვთ ურთიერთობები აწყობილი, ანუ ირჩევენ პატრონს, რომლისგანაც შოულობენ ფულს და მისგან ელიან სარგებელს.**

დავით ზარდიაშვილის შეფასებით, **ნინო ლომჯარიას თავის დროზე აქვს ეს არჩევანი გაკეთებული, იგი იმთავითვე შედიოდა ნაცთა ბანაკში. თავისი არსით „ნაცმოძრაობის“ კლიენტურასთან ურთიერთობდა. ეს არცაა გასაკვირი, არასამთავრობოები ძირითადად საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, ხშირ შემთხვევაში, მათი და „ნაცმოძრაობის“ ლობისტების ინტერესები იკვეთება. ისინი ცდილობენ, დაასაბუთონ მათი დაფინანსების საჭიროება, აუცილებლობა და ამით საკუთარი თავი დაიმკვიდრონ. რაც მეტ პრობლემას გაუსვამენ ხაზს, რომ თურმე ეს პრობლემები არჩევნებზე დადასტურებულა, უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებენ. რაც უფრო მეტად იბრძვიან „თავისუფალი არჩევნებისთვის“, უფრო მეტად დაფინანსდებიან.**

„ამდენად, ისინი პირდაპირ არიან დაინტერესებულნი, რაც შეიძლება ცუდი ანგარიშები დაიწეროს არჩევნებთან დაკავშირებით, რადგან ეს უშუალოდ მათ დაფინანსებაზე აისახება. ყველა, ვინც დაფინანსებას იღებს უცხოეთიდან, ცდილობს, საქართველოში მძიმე ვითარება წარმოაჩინოს, რადგან ამით ჭამენ პურს.

საშინლად გამაღიზიანებელია, როცა ცდილობენ, წარმოაჩინონ, თურმე სააკაშვილი წამების მსხვერპლია. ეს უარყოფით რეაქციას იწვევს უამრავ ადამიანში, ეს ცინიზმის მწვერვალია. ყველას ახსოვს, რაც არის წამება, რა ისტორიები და უბედურებები აღარ ხდებოდა სააკაშვილის დროს. სააკაშვილის მდგომარეობა ან ის კადრები, რაც აჩვენეს, არავითარ წამებას არ ადასტურებს. უბრალოდ, მან წინააღმდეგობა გაუწია სასჯელაღსრულების თანამშრომლებს და ისინიც იძულებულნი იყვნენ პროპორციული ძალა გამოეყენებინათ. თავისი ფეხით არ შედიოდა ციხის საავადმყოფოში და მოხდა ის, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, ცუდი საყურებელია, მაგრამ ეს არ გახლავთ ისეთი დაწესებულება, სადაც შენი ნებით აკეთებ რამეს. თუ შენი ნება ეწინააღმდეგება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ნებას, ცხადია, ძალას დაგატანენ“, — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბანკის ახალი რეგულაცია მშენებლებს არ მოსწონთ!

ეროვნულმა ბანკმა უცხოურ ვალუტაში აღებული იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15 წლიდან 10 წლამდე შეამცირა. ცვლილება 2022 წლის პირველი იანვრიდან შევა ძალაში. ქვეყნის მთავარი საბანკო უწყების გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გააჩინა მშენებლებში, თუმცა მოწონება დაიმსახურა ფინანსისტებში.

სებ-ი თავის გადაწყვეტილებას მომხმარებლის უფლებების დაცვით ხსნის და აღნიშნავს, რომ სავალუტო იპოთეკების მსესხებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი „არაჰეჯირებულია" და კურსის მერყეობისგან არაა დაცული, რის გამოც მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის მომხმარებლის უფლებების დაცვისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

„არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, ასეთი სესხების წლიური ზრდის ტემპი 2022 წელს 10%-ს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ მსესხებლების უმეტესობა „არაჰეჯირებულია", რაც მათ მაღალ მოწყვლადობაზე მიანიშნებს და, პორტფელის ზომიდან გამომდინარე, ხელს უწყობს ფინანსურ სექტორში სისტემური რისკების დაგროვებას. ეს, ასევე, საფრთხეს უქმნის უძრავი ქონების ბაზრის მდგრადობას. იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი ცვლადგანაკვეთიანია, შესაბამისად, სესხებს, გაცვლითი კურსის რისკთან ერთად, თან ახლავს საპროცენტო რისკი, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში, საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის წინაპირობების გათვალისწინებით", — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

აღნიშნული რეგულაცია დეველოპერულ ბიზნესსაც შეუქმნის პრობლემას. სამშენებლო კომპანია „ბალავარის" ფინანსური დირექტორი **ლევან მაღრაძე** სავალუტო სესხებზე მსგავსი შეზღუდვის დაწესებას ეწინააღმდეგება. მომხმარებლისთვის ლარში აღებული სესხი ძალიან ძვირია, ამიტომ მას არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს.

„მაგალითად, თუ მინდა ქალაქის გარეუბანში 50 კვჰმ ბინის ყიდვა და ამისთვის 30-50 ათასი დოლარი მჭირდება, სესხი ლარში უნდა ავიღო. საბაზრო პროცენტი დაახლოებით, 15-16%-ია. 150 ათასი ლარის შემთხვევაში 20-25 ათასლარიანი პროცენტია წლიურად. თუ 15 წელზე გადავანაწილებ, თითქმის 3-ჯერ გამიძვირდება სესხი. თუ ავიღებ 30 ათას დოლარს 4%-ში, მაშინ ასე ძალიან სესხი არ გამიძვირდება. დაშვებული რომ იყოს სავალუტო სესხები, ჩვენი კომპანიის მაგალითზე გეტყვით, რომ ბევრად უფრო შეღავათიან ფასად შეიძენენ ბინებს და უფრო გაიზრდება გაყიდვები, ვიდრე ახლანდელი შეზღუდვის პირობებში", — აცხადებს მაღრაძე.

სამშენებლო კომპანიის დირექტორის აზრით, ახალი რეგულაციით ეროვნული ბანკი ლარზე მოთხოვნის შემცირებასაც ცდილობს.

„თუ 1000 ლარი გაქვთ ხელფასი და შეზღუდვა 30%-ია, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ ბანკში ყოველთვე 300 ლარამდე უნდა გადაიხადოთ. 15 წელზე გადანაწილებით ყოველთვიური შენატანი მცირდებოდა. 10 წლის შემთხვევაში ყოველთვიური შენატანი გაიზრდება. ამის გამო, ვფიქრობ, ამ სესხებზე ხელმისაწვდომობა შემცირდება, ანუ ხელოვნური ჩარევით შეგიზღუდავენ ბინის ყიდვის შესაძლებლობას", — განმარტა „ბიზნეს მედიასთან" საუბრისას მაღრაძემ.

საბანკო სფეროს სპეციალისტები კი სებ-ის ინიციატივას სულაც არ მიიჩნევენ პრობლემად, პირიქით, მხარს უჭერენ კიდეც.

ფინანსისტ **მიხეილ თოქმაზიშვილის** აზრით, დოლარში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე მაქსიმალური ვადის შემცირება მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ შემდგომში ლარის სესხებზე მოთხოვნა გაიზარდოს.

„რამდენადაც აქცენტი აღებულია, რომ ლარიზაცია მოხდეს და ეს ხანგრძლივი პროცესია, შესაძლებელია, ეროვნული ბანკის აღნიშნული გადაწყვეტილება სწორედ ამით არის გამოწვეული, თუმცა კიდევ სხვა ფაქტორებიც უნდა იყოს, რომლებსაც ეროვნული ბანკი გულისმობს. ვფიქრობ, აღნიშნული გადაწყვეტილება დაკავშირებულია ლარის განმტკიცებასთან და ხელის შემწყობი იმდენად იქნება, რამდენადაც დროის ხანგრძლივ პერიოდში არ იქნება დაფიქსირებული სესხი დოლარში, იქნება უფრო საშუალოვადიან ან მოკლე პერიოდში. ეს მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ შემდგომში ლარში გაცემული იპოთეკური სესხები კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს", — განაცხადა თოქმაზიშვილმა.

2021 წლის ოქტომბერში ფიზიკურ პირებზე 367 მილიონი ლარის იპოთეკური სესხები გაიცა. აქედან 54%, ანუ 198 მილიონი ლარი ლარის იპოთეკებზე მოდიოდა, 170 მილიონი ლარი კი სავალუტო იპოთეკები იყო. ოქტომბერში ახალი იპოთეკების რაოდენობა 5,153 იყო, მათ შორის ლარის იპოთეკების რაოდენობა 4,509-ს შეადგენდა, სავალუტო იპოთეკების კი — 644-ს.

10 წელზე მეტი რაოდენობის ახალ იპოთეკებს შორის ოქტომბერში 121.3 მილიონი ლარის ეროვნული ვალუტის იპოთეკები და 131 მილიონი ლარის სავალუტო იპოთეკები გაიცა. შესაბამისად, 10 წელზე უფრო ხანგრძლივ იპოთეკებს შორის სავალუტო სესხები ჭარბობს, მაგრამ რაოდენობრივად ლარის სესხები 1,572 იყო, სავალუტო სესხები კი — 490.

ბექა დანელია

ბაგრატის ტაძარი: მოძალადე „არქიტექტორის" სააკაშვილის მიერ ჩატარებული „აღდგენითი სამუშაოების" სავალალო შედეგები!



ისევ ცრუ ინფორმაცია გაავრცელა ანგაჟირებულმა ჯგუფმა, რომელმაც თავის დროზე მოიწონა „სარესტავრაციო სამუშაოები" და რომლის შედეგად ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან იქნა ამოღებული.

კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ბაგრატის ტაძრის გარშემო აშიოტაჟის ატეხვას პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირთა ჯგუფი ცდილობს.

კულტურის სამინისტროში ცილისწამებას უწოდებენ ინფორმაციას, თითქოს ბაგრატის ტაძარში უმძიმესი მდგომარეობაა და ხელისუფლება, კერძოდ, კულტურის სამინისტრო პრობლემებს უგულებელყოფს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს პოლიტიკური ნიშნით განასხვავებს.

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ეხმიანება რამდენიმე ე.წ. სამოქალაქო აქტივისტის და ანგაჟირებული ტელეკომპანიების მიერ გავრცელებულ ცილისწამებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბაგრატის ტაძარში უმძიმესი მდგომარეობაა და ხელისუფლება, კერძოდ, კულტურის სამინისტრო პრობლემებს უგულებელყოფს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს პოლიტიკური ნიშნით ანსხვავებს. მსგავსი შინაარსის განცხადებები ალბათ, მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვის მიერ მოწონებული 2009-2012 წლებში ჩატარებული „სარესტავრაციო სამუშაოების" შედეგადაც ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან იქნა ამოღებული. ამ ჯგუფს, სავარაუდოდ, ისიც შეუძლია, რომ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები რაიმე ნიშნით, მით უფრო პოლიტიკური ნიშნით განასხვავოს.

შეგახსენებთ, რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მიმდინარე წლის მარტში შეიქმნა. მიმდინარე წლის 31 ივლისს კულტურის მინისტრი ეწვია ბაგრატის ტაძარს და ადგილზე გაეცნო წინა ხელისუფლების მიერ ბაგრატის ტაძრის „რესტავრაციით" გამოწვეულ პრობლემებს, რომლებიც ყოველ წელს სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. ამის შედეგად დაიგეგმა ტაძარზე კვლევითი (გეოლოგიური, ჰიდროლოგიური) და საპროექტო სამუშაოები, რათა მოხდეს ბაგრატის ტაძრის წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 21 ოქტომბერს გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანიის მიერ კვლევითი და საპროექტო სამუშაოების ჩაბარების პროცედურა. სწორედ ამის შემდეგ შედგება ბაგრატის ტაძრის წინაშე მდგარი პრობლემების აღმოფხვრის გეგმა.

შეგახსენებთ, ბაგრატის ტაძარზე 2009-2012 წლებში ჩატარებული „აღდგენითი სამუშაოების" შედეგად ძეგლზე შექმნილია ინფრასტრუქტურული პრობლემები გადახურვისა და ფასადის მიმართულებით. ლიფტის უჯრედის გადახურვისა და ტაძრის კედლებში დატანებული სარკმლების ქვედა ნიშნულზე ხდება წყლის ჩაჟონვა. ტაძრის სპილენძის სახურავიდან წვიმის დროს ჩამონადენი ნივთიერება მწვანედ ღებავს და აზიანებს ფასადის კედლებს, რაც შეძენილი მასალის უხარისხობაზე შეიძლება მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ ბაგრატის საკათედრო ტაძრის „სარესტავრაციო სამუშაოები" წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში 2009-2012 წლებში სახელმწიფოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტთან და მის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე განხორციელდა, რასაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილება ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში შეყვანის შესახებ.

სახელმწიფოს მიერ სამუშაოების დაჩქარებულ ტემპში წარმოებამ ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის სამონასტრო კომპლექსი 2012 წელს საბოლოოდ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების გარდაუვალი რეალობის წინაშე დააყენა. 2017 წელს, ქართული ოცნების მთავრობის მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხას დამოუკიდებლად დაუბრუნდა მხოლოდ გელათის სამონასტრო კომპლექსი"...

„ICOMOS-საქართველო ზრუნავს ძველი თბილისის კონსერვაციაზე

საქართველოს პრეზიდენტი ICOMOS საქართველოს პროექტის — „კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია" დახურვის ცერემონიას დაესწრო და ICOMOS საქართველოს მიერ ნორვეგიის მთავრობის გრანტით რესტავრირებული თბილისის ერთ-ერთი უძველესი სახლი დაათვალიერა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა განათლების, კულტურისა და მეცნიერების საკითხებში კონსტანტინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რესტავრაცია ძეგლთა დაცვის საერთაშორისო მეთოდოლოგიით შესრულდა, რაც საქართველოში კერძო სახლების მიმართულებით, დიდი იშვიათობაა. „ეს მეთოდოლოგია, რომელიც სპეციალურად თბილისის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ნაგებობებისთვისაა შემუშავებული სამომავლო დანერგვას საჭიროებს.

პრეზიდენტის მოსაზრებით ეს ხელოსნური, მეთოდოლოგიური გამოცდილება ქალაქის სხვა ნაგებობების შემთხვევაშიც ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს.

პროექტი, რომელიც თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ავთენტური მხარის, ღირებულების შენარჩუნებას ემსახურება, თბილისს შემოგვინახავს სწორედ იმ სახით, როგორც თავდაპირველად აშენდა" , — აღნიშნა კონსტანტინე ნაცვლიშვილმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: ნორვეგიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი **მარკო სოლდიჩი,** ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის წარმომადგენელი **ვეგარდ ბერგარდი** და ICOMOS საქართველოს პრეზიდენტი **ნატო ცინცაბაძე**.

თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალური გზა მალე აშენდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრსატრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კახეთის მიმართულებით საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას განაგრძობს. მოცემულ ეტაპზე, კახეთის მიმართულებით ახალი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის პირველი და მეორე მონაკვეთების მშენებლობა იწყება.

კახეთის მაგისტრალური გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთზე, რომელიც მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა, 4 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის 31.5 კმ-იანი გზა აშენდება. მაგისტრალის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. გზის პროექტირების სამუშაოები, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ავსტრალიურმა და ამერიკულმა მაღალკვალიფიციურმა კომპანიებმა შეასრულეს. გზის ამ მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს ორი, ტენდერში გამარჯვებული კომპანია (სხვადასხვა ლოტზე) შეასრულებს. სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადა 24-30 თვეა.

გასული კვირა მსოფლიო პოლიტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ინფორმაციულად დატვირთული იყო. მსოფლიო ლიდერების ყურადღება, ორი ზესახელმწიფოს ლიდერების – ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის ვიდეოკონფერენციისკენ იყო მიმართული. მსოფლიო პრესა ინფორმაციულად დატვირთული, ძირითადად, ექსპერტ-პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების შეფასებებით იყო. მოლოდინები არ გამართლდა, ბაიდენმა, რუსეთის მმართველისგან ბევრი ვერაფერი მიიღო. შემდგარ საუბარს, თუ ამ დროისთვის არსებული შედეგებით შევაფასებთ, რუსეთმა „ჩრდილოეთ ნაკადი2“-ზე უკვე მიიღო ამერიკისგან გარანტიები, რომ გაზსადენზე სანქციებს მოხსნის. რაც შეეხება ჯო ბაიდენს, რომელიც ორი საათის განმავლობაში ცდილობდა რუსეთის ლიდერის გადარწმუნებას, უკრაინაში შეჭრაზე ხელი აიღოს, პუტინისგან თანხმობა ვერ მიიღო. ამას მოწმობს „დიდი შვიდეულის“ მიერ ლივერპულში გამართული შეხვედრა და გავრცელებული განცხადება, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში მძიმე შედეგებს მიიღებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა იგულისხმება „მძიმე შედეგებში“. „დიდი შვიდეული“ გამოსავალს დიპლომატიაში ხედავს და მოუწოდებს რუსეთს, მოლაპარაკებების მაგიდას დაუბრუნდეს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა მოლაპარაკებებს „ინტენსიური“ უწოდა და განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არსებობს დიპლომატიური გზა რუსეთთან დაძაბულობის დეესკალაციისთვის. ბაიდენი ამბობს, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში „საშინელ საფასურს“ გადაიხდის – არც ამ შემთხვევაში გვაქვს რაიმე კონკრეტიკა, თუ როგორი სახე ექნება „საშინელ საფასურს“. საბოლოოდ, მხოლოდ ურთიერთ მუქარები გვაქვს.

პაატა ზაქარეიშვილი:

პუტინი მსოფლიოს აშანტაჟებს!



„თურქეთი, ერთადერთი მყარი ღერძია რუსეთის წინააღმდეგ მთელს კავკასიაში და ეს ჩვენ არ გვესმის, თურქეთი არის ჩვენი ყველაზე სანდო მოკავშირე და ეს ჩვენ უნდა შევიგნოთ“

კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი,** ამბობს, რომ აშკარაა ვლადიმერ პუტინი და ჯო ბაიდენი ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ, თუმცა რუსეთი, დიდი ალბათობით, უკრაინაში შეჭრას არ აპირებს და ეს, მხოლოდ და მხოლოდ, რუსეთის მორიგი შანტაჟია საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის.

პაატა ზაქარეიშვილი: ვერაფერზეც ვერ შეთანხმდნენ, იმიტომ, რომ პუტინი იყო ძალიან მკაცრი. ის იტყოდა, რომ უკრაინა-რუსეთის ურთიერთობები არის მხოლოდ მისი საქმე და, რომ მათი ზეწოლა რუსეთზე ვერ იქნება ეფექტური. ბაიდენი ამაზე აუცილებლად დაფიქრდებოდა, რადგანაც პირველი რაც გააკეთა, მაშინვე დაურეკა „დიდი შვიდიანის“ ლიდერებს. ყველაფერი რომ კარგად ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა. ანუ, ისინი ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ. პუტინი ეტყოდა, რომ მას არ ადარდებს სანქციები, უკრაინა არის მისი ინტერესის სფერო და, რომ იქ ირღვევა ეთნიკური რუსების ინტერესები და ასე შემდეგ. აშკარად ჩანს, რომ რუსეთი დათმობას არ აპირებს.

– ვიდეოკონფერენციის შემდეგ, საუბარი შედგა ვლადიმერ ზელენსკისა და ბაიდენს შორის, საუბრის მთავარი თემა ამ შემთხვევაშიც იყო ის, რომ დიპლომატიას ალტერნატივა არ აქვს და ეს არის საუკეთესო გზა კონფლიქტის მოგვარებაში. აშკარაა ბაიდენი მედიატორის როლს კისრულობს და სავარაუდოდ, გარკვეული გზავნილებიც ექნებოდა ზელენსკისთან...

– რუსეთს შეუძლია აშანტაჟოს მსოფლიო და მსოფლიოს არ აქვს უფლება ამას ყურადღება არ მიაქციოს. შესაბამისად, მსოფლიო იქცევა გონივრულად, მათ არ აქვთ უფლება თავისი ხალხი საფრთხის ქვეშ დააყენონ და დაუთმონ რუსეთს, რომ ამ შანტაჟის რეალიზაცია მოახდინოს. ასევე არ უნდა დაკარგოს მოკავშირეები - უკრაინა და საქართველო. საქმე ისაა, რომ ქართველებს ჯერ კიდევ პოსტსაბჭთა აზროვნება გვაქვს. ჩვენ გვგონია, რომ ყველაფერი მუდმივია და ყველაფერი ცვალებადია. მუდმივი არაფერი არ არის. შესაბამისად, საჭიროა ყოველდღიური მუშაობა. ჩვენ თუ გვგონია, რომ თუ მკაცრი განცხადება ექნება დასავლეთს რუსეთის მიმართ, რუსეთს შეეშინდება - რუსეთს არ შეეშინდება, რუსეთიც ასევე მკაცრ განცხადებას გააკეთებს. ეს არის ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში მყოფი სისტემა, რასაც ჰქვია დასავლეთის დემოკრატია და ისინი ამას ეფექტურად ახორციელებენ, რათა არ დაუშვან სისხლისღვრა ნებისმიერ წერტილში, სადაც რუსეთს გავლენები აქვს. სამწუხაროდ, მსოფლიოში აგრესიული სახელმწიფოები ჯერ კიდევ არიან. თავის დროზე იყო ნაცისტური გერმანია, ახლა ასეთი არის რუსეთი. რუსეთს არავითარი სერიოზული რესურსი არ გააჩნია ეკონომიკაში, აქვს შიგნით პრობლემები ოპოზიციის მხრიდან და დარჩენია მხოლოდ შანტაჟი, ეს არის მისი მთავარი რესურსი – მსოფლიოს აიძულებს დათმოს რაღაცეები. მთავარი დათმობა კი იქნება, ის რომ შეპირებად დარჩება საქართველოს ნატოში გაწევრიანება და ამ მიმართულებით არანაირი ნაბიჯი არ გადაიდგმება.

– ნატოში შესვლა-არშესვლა, ეს რომ არის დიდი პოლიტიკური ფარსი, ამაზე უკვე ფაქტობრივად ყველა თანხმდება, ეს არის ამერიკა-ევროპის დიდი თამაშის ერთი პატარა დეტალი, რომელიც ამ „ნათელი მომავლის“ იმედით აცხოვრებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პატარა ქვეყნებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებენ ამ სტატუსს, ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება, ამას რუსეთიც კარგად ხვდება და არ მგონია, ეს საკითხი ყოფილიყო ნომერ პირველ განხილვის საგანი. იქ იყო ასევე ერთი საინტერესო დეტალი – რუსეთმა მიიღო პირობა ამერიკისგან, რომ „ჩრდილიეთის ნაკადი2“, რომელიც მზადაა უკვე ექსპლუატაციაში შესვლისთვის, სანქციები მოეხსნება. ეს ძალიან ბევრ რამეს ხსნის, მათ შორის რუსეთის მიერ წამოწყებულ ამ ავანტურას, რამაც სრულიად მსოფლიოს შეშფოთება გამოიწვია, ჩვენ ვიცით რაც მოყვება ამ მილსადენის ამოქმედებას ეკონომიკური და თავისთავად პოლიტიკური თვალსაზრისითაც. როგორ ფიქრობთ, ხომ არ იყო ეს მთავარი სავაჭრო თემა?

– შეიძლება. რუსეთს რაში სჭირდება ომი უკრაინაში? ის ისედაც აკონტროლებს დონბასს, უკვე მეორეჯერ აშანტაჟებს ამით დასავლეთს, რომ ომს დაიწყებს. ომის დაწყების თემა აბსურდულია, მაგრამ რუსეთი ამის გამკეთებელი მაინც არის იმისთვის, რომ ეს დასავლეთს დაუმტკიცოს. ამ შანტაჟის ფონზე მან დიდ წარმატებას მიაღწია იმ მიმართულებით, რაც თქვენ ბრძანეთ. მან მიიღო გარანტიები, რომ ჩრდილოეთის ნაკადს სანქციები არ დაუწესდება. ძალიან ეფექტურად, ვერაგულად და უტიფრად გაცვალა რუსეთმა არარსებული ომი არსებულ სანქციებში. ეს, საბოლოო ჯამში, არის პუტინის გამარჯვება, ის მსოფლიოს აშანტაჟებს.

– ამ შედეგით დაკმაყოფილდება რუსეთი?

– არ დაკმაყოფილდება, მაგრამ რუსეთს შანტაჟის გარდა არაფერი არ შეუძლია. ის არის სახელმწიფო, რომელიც მუდმივად აშანტაჟებს დემოკრატიულ სამყაროს. პუტინი დაახლოებით იქცევა ისე, როგორც იქცეოდა ჰიტლერი. ჰიტლერს ჰქონდა ომის რესურსი, მაგრამ რუსეთს ამის რესურსი არ აქვს. საჭიროა, რომ ევროპა ცოტა მკაცრად დაელაპარაკოს. შესაძლოა, პუტინმა ომი წააგოს, მაგრამ ძალიან დააზარალებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანას მაგალითად, პოლონეთს.

– არ დაგვავიწყდეს ამერიკის და ევროპის ქვეყნების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ ისინი ომის დაწყების შემთხვევაში პროცესებში არ ჩაერთვებიან. ჩვენც არაერთხელ გავხდით ფურცელზე დაწერილი მათი აღშფოთების მოწმენი, ის რომ „ნატო“ ომში არ ჩაერთვება, ეს უკვე გარკვევით ითქვა, ომის დაწყების შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდება, მსოფლიო თანამეგობრობისგან ვერაფერს მიიღებს განცხადებების გარდა, ამიტომ ვისთან შეიძლება რუსეთმა ომი წააგოს?

– ბალტიისპირეთის წინააღმდეგ თუ დაიწყო ომი, ეს უკვე ნატოა. უკრაინის წინააღმდეგ ომი მას არ სჭირდება, ეს უკვე მოგებული აქვს. პუტინმა იცის, რომ ნატოსთან ომს წააგებს, ამიტომ ის ნატოს წინააღმდეგ ომს არ დაიწყებს.

– გეთანხმებით, რომ ეს არის რუსეთის მხრიდან შანტაჟი და როგორ ფიქრობთ, 3+3 ფორმატი ამ შემთხვევაში 3+2, ეს ქვეყნები შეგვიძლია რუსეთის პოტენციურ მოკავშირეებად განვიხილოთ?

– ჯერჯერობით ამის ერთ კონტექსტში განხილვის აუცილებლობა არ სჩანს. 3+3 ფორმატი არის თურქეთის ინიციატივა და ეს ინიციატივა მოდის ჯერ კიდევ 2008 წლიდან. თურქებს ჯერ კიდევ იმ დროს ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის სტაბილურობის ინიციატივა. ჩემი აზრით, თურქებს და აზერბაიჯანს უნდა აწყობდეს საქართველოს უარი იმიტომ, რომ საქართველო კატეგორიული წინააღმდეგია რუსეთის დარჩენის სამხრეთ კავკასიაში, სამაგიეროდ, სამხრეთ კავკასიაში შემოდის თურქეთი და ძლიერდება. ამიტომ, თურქეთი ძალიან ეშმაკურად ავიწროვებს რუსებს, საქართველოს საშუალებით, მე ეს მომწონს.

– საქართველოსთვის რამდენად ხელსაყრელი იქნება თურქეთის გაძლიერება რეგიონში?

– მე ვარ ამის მომხრე. თურქეთი არის ნატოს წევრი სახელმწიფო, ამ შემთხვევაში ის არ არის დამოუკიდებელი, ის არის შავი ზღვის სახელმწიფო. შავ ზღვაზე მყოფი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა ნატოს მიმართ არიან სიმპათიებით. თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი არიან ნატოს წევრი სახელმწიფოები, უკრაინა და საქართველო მიისწრაფვიან ნატოსკენ, მხოლოდ რუსეთია ნატოს წინააღმდეგი. ამ ფონზე, თურქეთი არის ჩვენი უცილობელი მოკავშირე. სამწუხაროდ, საქართველოში არის თურქეთის წინააღმდეგ აღვირახსნილი კამპანია, იქ გარეჯის მოვლენები, იქ ბუკნარში უნდა იყოს თუ არა მეჩეთი, დაპირისპირება დმანისში და ეს ყველაფერი არის ამ დიდი პოლიტიკის ნაწილი. რუსეთი ცდილობს, ქართველებში შექმნას ანტითურქული, ანტიაზერბაიჯანული განცდა. თურქეთი, ერთადერთი მყარი ღერძია რუსეთის წინააღმდეგ მთელს კავკასიაში და ეს ჩვენ არ გვესმის. თურქეთი არის ჩვენი ყველაზე სანდო მოკავშირე და ეს ჩვენ უნდა შევიგნოთ. თურქეთს საქართველოსთან პირდაპირი ინტერესები არ გააჩნია, მას ინტერესები აქვს აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში და იქეთ, ჩვენ უნდა ვიყოთ ხიდი თურქეთისთვის, რათა მან რუსეთისა და ირანის შუაში გაიაროს ვიწრო ხიდზე – საქართველოზე, რათა ჰქონდეს გავლენები კასპიის ზღვაში და მის მიღმა.

– სამწუხაროა, რომ საქართველოს არასდროს არ გააჩნდა და მით უმეტეს დღეს, საკუთარი ინტერესები და პოლიტიკური პოზიცია, ამიტომაც ვართ ყოველთვის ყველას ხიდი. იქნებ უკეთესი ვარიანტი მოვიფიქროთ, მაგალითად, რა უნდა იყოს ჩვენი პოზიცია, რომ ჩვენი უნიათობისა და პოლიტიკური უმეცრების გამო ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები არ დაზარალდეს, არ შეეწიროს სხვა ქვეყნების კეთილდღეობას და ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს? როგორც ექსპერტი რას ურჩევთ ხელისუფლებას?

– ის, რომ ჩვენ რეგიონში უნდა ვიყოთ მშვიდობის ფაქტორი, ჩვენთან გადის გაზსადენი, ნახეთ, უკრაინას როგორ ახრჩობს რუსეთი. ჩვენთან არანაირი პრობლემა არ არის ნავთობზე და გაზზე, იმიტომ, რომ ხიდი ვართ და რატომ გვრცხვენია ამ ხიდის? ჩვენ გვაქვს შედარებით იაფი გაზი და ნავთობი, აქედან ჩვენ ძალიან დიდი პლუსები გვაქვს. საქართველო არის გარანტორი, რომ ეს ნავთობსადენი და გაზსადენი, რომელიც მოდის კასპიის ზღვიდან თურქეთში, არანაირი კავშირი რუსეთთან არ აქვს, ეს არის უნიკალური მონაპოვარი. ჩვენ ვართ წამყვანი ფიგურანტები ენერგეტიკაში და ასეთივე წამყვანი უნდა ვიყოთ გეოპოლიტიკაშიც და დიახაც, თურქეთის მოკავშირე უნდა ვიყოთ, რომ მან მოახერხოს თავისი ინტერესების რეალიზაცია ცენტრალურ აზიაში, ესაა ჩვენი მთავარი ფუნქცია. კი ბატონო, მაშინ ჩამომითვალეთ რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს საქართველოს, რომ ჩაიკეტოს სამყაროსგან, აწარმოოს ღვინო და მთელმა მსოფლიომ ჩვენი ღვინო იყიდოს? ეს ხომ სასაცილოა. რა გვაქვს ჩვენ ღვინის გარდა? – არაფერი. თუ არ გვინდა ვიყოთ ხიდი, დერეფანი კი, ბატონო...

– სამწუხაროდ, ჩვენ ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროცესებში არავინ არაფერს გვეკითხება და არც არანაირი პოზიცია არ გვაქვს, ჩვენი პოლიტიკური სისუსტის გამო, მაგრამ მაინც, რა არის ის ეფექტური სვლა, რაც შეიძლება საქართველომ განახორციელოს?

– ჩვენ არ ვართ ამ საკითხებში კომპეტენტურები. ჩვენ გვინდა ხელისუფლებაში ყოფნა, გვინდა ძალაუფლებას ვფლობდეთ და ამ დროს არაფერი არ ვაკეთოთ. ჩვენი მთავარი ამოცანაა დემოკრატიის განმარტება, რაც აწყობს რუსეთს...

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

იგავმიუწვდომელი სიყვარული დიდი მწერლისა

დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას, მისი უკიდეგანო შემოქმედების, თუ რთული მძიმე პირადი ცხოვრების შესახებ, არაერთ მოღვაწეს დაუწერია, დაუწერია მოგონება, მიუცია შეფასება; შეფასება შემოქმედის უკვდავი რომანებისა, აღწერა მწერლის არაორდინარულობისა და ა.შ.

განსხვავებულადაა დანახული დიდი მწერლის სახე (ყველა რაკურსიდან) ცნობილი ქართველი მხატვრისა და მწერლის რეზო (ემელიანე) ადამიას ნარკვევში „შეხვედრა დიდ მწერალთან (ფიქრები და განცდები)". ნარკვევის სიუჟეტია ჭაბუკი რეზო ადამიას – სამხატვრო აკადემიის სტუდენტის, გაბედულება, შეხვედროდა უკვე ახალგაზრდობის ასაკში დიდ კონსტანტინე გამსახურდიას. გადმოცემულია ის განცდები, რომლებიც თანმდევი იყო ექსკლუზიურად მწერლის პორტრეტის შექმნის მსურველისთვის. ნიშანდობლივია, რომ რეზო ადამიამ მიაღწია იმას, რომ პირადად შეხვედროდა და სასურველი ჩანახატი გაეკეთებინა. ამ ამბავს მკითხველი თავადაც კარგად გაეცნობა. ჩვენ კი გვინდა მოკლედ წარმოვადგინოთ მწერლისა და მხატვრის რეზო ადამიას ორიგინალური და ფრიად საინტერესო დამოკიდებულება დიდი მწერლის შემოქმედებასთან. რეზო ადამია არ მალავს, რომ მისთვის მზენათელ-ღვთიურად მოაზროვნედ და ქართული სიტყვათახატულობის შემქმნელი კონსტანტინე გამსახურდია სრულიად განსაკუთრებულია. იგი თავისი „შესხმის" ობიექტს კაცობრიობის განუმეორებელ გენიალურ შემოქმედ-ხელოვანთა – რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით აყენებს. ავტორს მიაჩნია, რომ როგორც გენიის სრულყოფილებები: სოკრატე, არისტოტელე, პლატონი, მიქელანჯელო, ლეონარდო, მოცარტი, ისე კონსტანტინე გამსახურდიაც, ქვეყნიერების მარადიულობას დაიმკვიდრებს.

რეზო ადამიას თქმით, იმდენად ღრმა, მხატვრულ-შემოქმედებითია დიდი კონსტანტინეს ზეაღმატებული, სრულყოფილი, სივრცობრივად (ასხმულ-აჩუქურთმებული) უნიკალური ნაშრომები, მოთხრობები და ნოველები, რომ მათი ეპოქალური კუთვნილებითი ცნება ქრება და სამყაროს მარადიულ ქმნილებად დგინდება.

რეზო ადამია დიდი მწერლის ორ რომანს გამოყოფს ხაზგასმით და მათზე საგანგებოდ ჩერდება. ესენია **„მთვარის მოტაცება"** და **„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა"**.

მართლაც გენიალური ნაწარმოებია! ზოგადად კი, ნარკვევის ავტორი წარმოაჩენს ჭეშმარიტ ისტორიზმს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. მიაჩნია, რომ ურთულესი შემოქმედებითი გზაა პროზაში ერის და მსოფლიოს ხალხთა ისტორიულ თემატიკაზე წერა, წარსულის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა სიმართლე-სიზუსტის გარდა, უნაკლო ანალიტიკური ფაქტებით, მხატვრულად დიალოგ-მონოლოგთა გადმოცემა და მარადიული ჭეშმარიტების შენარჩუნება.

ან შეიძლება ხაზი არ გავუსვათ, რომ რეზო ადამია დიდი მწერლის შემოქმედების განხილვა-შეფასებისას აშკარად ამჟღავნებს თავისი როგორც ძირითადი (ხომ არ ვცდები?) პროფესიონალის – მაღალპროფესიული მხატვრის მიდგომას. ამიტომაა სხვა შემფასებელთაგან განსხვავებული მისი დამოკიდებულება კვლევის (შესხმის) ობიექტისადმი.

მოვუსმინოთ ნარკვევის ავტორს: **ფორმით, ხაზით, ჰარმონიით და გამორჩეული ლიტერატურული ხმა-ხედვით, საკვირველი მუსიკალობით, გამოირჩეოდა მწერლის პირველი რომანები, მოთხრობები და ნარკვევები... მოულოდნელ ფერთა შემოსვლა კონკრეტულ კოლორიტ გამაზე – გენიალური კლასიკოსი მოდერნისტული მხატვრობის დონეზე ავითარებდა თხრობის მეტყველი გამოხატვის უნარს. რეზო ადამიას მიაჩნია, რომ დიდი კონსტანტინე ფილიგრანული მიდგომარას – ლეგენდარულ საზოგადო მოღვაწეს, ცოცხალ მწერალ-პიროვნებას..."** ასეთია ყმაწვილი სტუდენტის რეალური განცდა ცოცხალი კერპის დანახვაზე. დღევანდელი გადასახედიდან კი უკვე მორჭმული, ხანსრული რეზო ადამიასთვის კონსტანტინე გამსახურდია ის შემოქმედია, რომელიც გამაოგნებელი ზემხატვრულ-ფილოსოფიური, ჰარმონიით დაგატკბობს და აგამაღლებს; სულიერ-გონებრივად ზენაარისგან ხელდასხმული მწერალი თავის ერს და მსოფლიოს ჯანსაღ უსასრულო სიცოცხლეს ანიჭებს. რეზო ადამია კონსტანტინე გამსახურდიას წარმოაჩენს, როგორც ღმერთის დონეზე ამაღლებულ მოაზროვნეს და დიდ ხელოვანს: მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის ეროვნულ-კაცობრიულ დიალოგ-აფორიზმ-გამონათქვამებს. მეტად საინტერესოა რეზო ადამიას ნარკვევში შემოტანილი პარიზული პასაჟები. აქაც დიდი ქართველი მწერლის სახება სდევს თან – უნებლიედ ბალზაკთან აკავშირებს მას.

რეზო ადამია დაასკვნის, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული გენიის სიახლე კალმით აუწერელსულ-გონ-ნერვებ-გემოვნებიანი წერის სტილძარღვიანი ქანდაკებური-არქიტექტონიკული პროზაა. დიდმა კონსტანტინემ თავის რომან-ნოველებ-მოთხრობებში ქართული არქაიზმის შემოყვანით ქმნილებები სამ განზომილებაში მოაქცია – წარსული, დღევანდელობა და მომავლის უსასრულობა. ყოველივე ამან ჭეშმარიტი ძლიერება მიანიჭა მათ.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეზო ადამიას ნარკვევებში „შეხვედრა დიდ მწერალთან" (ფიქრები და განცდები) ახლებურად, ძალზე საინტერესო კუთხითაა შეფასებული დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება. აქ ნათლად ჩანს მხატვრისა და მწერლის, რეზო ადამიას ღრმა ცოდნა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისა და, გამომდინარე აქედან, მკაფიოა, რომ ნარკვევი დიდი შემოქმედისადმი ზებუნებრივი დამოკიდებულებით, მოკრძალებითა და იგავმიუწვდომელი სიყვარულითაა შექმნილი.

აკადემიკოსი
როინ მეტრეველი

ესე კოსმიური გენით მირონცხებულ შემოქმედზე

შესანიშნავი მხატვრის, პროზაიკოსის და თავისებური სტილის ესეისტის რეზო (ემელიანე) ადამიას კოსმიურ-წარმოსახვით-განცდით სერიალსა და გენიოსთა მიწიერი სიცოცხლისა და კოსმოგენიური გონით ნასაზრდოებ შემოქმედებით გალერეას კიდევ ერთი ესე-მოგონება შეემატა „კონსტანტინე, ანუ შეხვედრა დიდ მწერალთან". ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი შემოქმედი ჯერ კიდევ ჭაბუკობა-სტუდენტური ცხოვრების წიაღში გადადის და მაშინდელ კოლხურ სიდინჯე-ზრდილობანაზავ შიშთან გაზავებულ შეხვედრას იხსენებს ღმერთკაცშემოქმედთან, რომელიც მისი არამიწიერი ნიჭტალანტით, კოსმიურ-ვარსკვლავეთური გენით მირონცხებულ გალერეას შემატებს დიდ კონსტანტინეს – უკვდავი „დიდოსტატის მარჯვენისა" და „მთვარის მოტაცების" ადამიასეული არამიწიერი კრიტერიუმებით განსჯა-განხილვით. თავისი ადრინდელი ესეების, კოსმიური ფილოსოფიის შეზავებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიეახლა კოლხი შემოქმედი უპირველეს კოლხს შემოქმედთა შორის, რაც ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის წინ კოლხური კოშკის სიდიადის ხილვითა და ხატვით დაიწყო.

ამ წიგნის შესავალსეფესიტყვაობა, სიმბოლურად სამმა შემოქმედმა ითავა და არცაა გასაკვირი (ჩემთვის, როგორც რიგითი მკითხველის თვალით ამ მართლაც სამი უნიჭიერესი ადამიანის შეხედულებებს ჩავთვლიდი ესეს სრულ შეფასებად) ბატონი რეზო მიშველაძე, თანამედროვე კლასიკოსი, ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი და პირუთვნელ-შემფასებელი, ბატონი როინ მეტრეველი, თანამედროვეობის ცნობილი ისტორიკოსი, დიდი კონსტანტინეს რომანებში ასახული ეპოქის უბადლო მცოდნე და ახალგაზრდა პროზაიკოსი, ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორი და უშესანიშნავესი მთარგმნელი ბატონი აკაკი დაუშვილი, მცოდნე უცხო კლასიკისა და მიუკერძოებელი შემფასებელი სხვათა შემოქმედებისა.

ბატონი რეზო მიშველაძე ესეის ისეთ პასაჟებს უკვირდება და განიხილავს, რომელიც კრიტიკოსის თვალს არ გამოეპარება და სიამოვნებით დასძენს – „რეზო ადამიამ, ჯერ ერთი, კარგად იცის ფასი კაცისა, რომელმაც უზარმაზარი ამაგი დასდო მშობლიურ კულტურას და მეორეც, გასიგრძეგანებული აქვს თავისი მდგომარეობაც – თამამად არ უნდა ისარგებლოს ქართული მწერლობის ქორმახვშის ყურადღებით და გაისიგრძეგანოს ის პატივისცემა, რაც „მთვარის მოტაცების" ავტორმა დასდო იმით, რომ თავის კოლხურ კოშკში დრო და ყურადღება დაუთმო". ამ წინასიტყვაობასაც ლაკონური და ყოვლისმომცველი სათაურიც გაუკეთა, რომელიც მთავარი შეფასებაცაა – „კონსტანტინეს რომ ეკადრება".

„დიდი ხელოვნება ზეციური სივრცის იდუმალებიდან იბადება" – ასე აფასებს რეზო ადამიას ესეს აკაკი დაუშვილი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბატონი რეზოს აფორიზმებსა და წიგნში გაფანტულ სიბრძნეს და სურვილობს – კარგი იქნება თუკი ბატონი რეზო მოიცლის და მის ჩინებულ ნაწარმოებებში მიმობნეულ აფორიზმებსა და ხატოვან სიტყვათქმებს ერთ კრებულში მოუყრის თავს, რაც ამ ჟანრში გამოცემულ წიგნებს შორის უთუოდ ერთ-ერთი საუკეთესო იქნებაო.

აქვე ვიტყვი, რომ წიგნი დასურათებულია თავად ავტორის გრაფიკული ნამუშევრებით, რომელიც დიდი კონსტანტინეს ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს მოიცავს, რომელიც მწერლის პორტრეტებითაა წარმოდგენილი.

წიგნის რედაქტორის ბატონ როინ მეტრეველის წინათქმა ზემოთ წარმოგიდგინეთ.

მამუკა ვაშაკიძე

რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკული სასამართლო ნონა გაფრინდაშვილის სარჩელის თაობაზე?

ამერიკელთათვის ჩვეული ქედმაღლობით, იქაურმა კომპანია „ნეტლიქსმა“, ვითომდა არაფერიაო, შეურაცხყოფა მიაყენა გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს **ნონა გაფრინდაშვილს**. ვისაც თუნდაც რამე სმენია ნონა გაფრინდაშვილის შესახებ, იცის, თუ რას ნიშნავს მისთვის ჭადრაკი — ხელოვნება, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

სასამართლო დავა კალიფორნიაში

სილაქის პასუხად - სილაქი?

ნონა — ესაა ამ თამაშის ისტორიაში ისეთი ფენომენი, ლეგენდა, როგორებიც არიან ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი, ბოტვინიკი, ტალი. სხვათა შორის, დიდებული მიხეილ ტალი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მიხეილ ბოტვინიკს ჩამოართვა, ჭადრაკის მილიონობით მოყვარულის კერპი, რომელსაც დედამიწის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მოჭადრაკის რეპუტაცია ჰქონდა, „ნონა გაფრინდაშვილის კლუბის“ წევრი იყო — როგორც ხუმრობით უწოდებდნენ შეუდარებელი ქართველი მოჭადრაკის მიერ დამარცხებულ მამაკაც მოჭადრაკეებს. ცხადია, მიხეილ ტალი გამონაკლისი არ ყოფილა, ნონა გაფრინდაშვილთან პაექრობისას საჭადრაკო საათები გაუჩერებია ბევრ სხვა გროსმაისტერ მამაკაცსაც. 80 წელს გადაცილებული დიდი — ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ! — ნონა დღესაც აქტიურად მონაწილეობს საჭადრაკო ბატალიებში. ცოტა ხნის წინ მან ვეტერან ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის მორიგი ტიტული მოიპოვა.

მაინც რაში მდგომარეობს ნონა გაფრინდაშვილისთვის მიყენებული შეურაცხყოფის არსი და როგორია ამერიკის კალიფორნიის შტატის სასამართლოში განსახილველად მის მიერ წარდგენილი სარჩელი?

საქმე ეხება „ნეტლიქსის“ მინისერიალს „მეფის გამბიტს“. სარჩელის თანახმად, აღნიშნული ტელესერიალის ერთ-ერთ ეპიზოდში გაიჟღერა დამახინჯებულმა ინფორმაციამ ნონა გაფრინდაშვილის კარიერული მიღწევების შესახებ. კერძოდ, ითქვა, თითქოსდა ნონა გაფრინდაშვილს არასდროს უთამაშია მოჭადრაკე მამაკაცთან, რაც მტკნარი სიცრუეა. ამასთან, „მეფის გამბიტის“ ეპიზოდში აღწერილია 1968 წლის, ანუ იმ დროის მოვლენები, როცა ქალბატონ ნონას უკვე ნათამაშები ჰქონდა 50-ზე მეტ მამაკაც მოჭადრაკესთან. თანაც არა მარტო „ისე რა“ ნათამაშევი, არამედ ბევრი მათგანი დამარცხებულიც ჰყავდა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ „ნეტლიქსმა“ შეგნებით იცრუა იმ მიზნით, რათა მეტი დრამატიზმი შეემატებინა ეპიზოდისთვის, რომელიც იმ მოგონილ გარემოებას ასახავს, თითქოს მთავარმა გმირმა ელიზაბეტ ჰორმენმა იმის მიღწევა შეძლო (ანუ მოჭადრაკე მამაკაცი დაამარცხა. — რედ.), რაც მანამდე არც ერთ მოჭადრაკე ქალს, მათ შორის არც ნონა გაფრინდაშვილს არ გაუკეთებია.

დიახ, სწორედ ასე, ქართველი მოჭადრაკე ქალის სახელის უსირცხვილოდ ხსენებით, სერიალის შემქმნელებმა სცადეს მისი მთავარი გმირის უნიკალური საჭადრაკო განსაკუთრებულობის ხაზგასმას, რითაც მოურიდებლად დააკნინეს ნონა გაფრინდაშვილის ნიჭი!

სარჩელში ასევე მითითებულია, რომ „ნეტლიქსმა“ ასევე შეურაცხყო ნონა გაფრინდაშვილი იმითაც, რომ იგი რუსეთელ მოჭადრაკედ წარადგინა, თუმცა კი საბჭოთა კავშირის დროშით გამოსვლის დროსაც კი, ქალაქ ზუგდიდში დაბადებული ქალბატონი თავს მუდამ საქართველოს წარმომადგენლად, ეროვნებით ქართველ ქალად წარმოაჩენდა.

ახლა ვნახოთ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ნაქები ამერიკული სასამართლო ნონა გაფრინდაშვილის სარჩელთან დაკავშირებით.

ბოლო ხანებში, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა, მათ შორის საქართველოში აშშ-ის ელჩის მხრიდან, ხშირად გაისმის კრიტიკული შენიშვნები საქართველოს მართლმსაჯულებასთან და მასში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ჰოდა, ახლა უკვე ქართულ საზოგადოებრიობას მოუწევს დასკვნის გამოტანა ამერიკული სასამართლოს კეთილსინდისიერების თაობაზე.

ნონა გაფრინდაშვილის ადვოკატების განცხადებით, მხარეთა მონაწილეობით სასამართლო სხდომა 2022 წლის 22 იანვრისთვისაა ჩანიშნული. როგორც მოსალოდნელი იყო, „ნეტლიქსმა“ სასამართლოს განხილვის შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა.

„სასამართლო პროცესის წინა ისტორიას არ ჩავუღრმავდები. ჩვენ ორ იურიდიულ საფუძველზე ვდავობთ. „ნეტლიქსმა“ დაცვის ტრადიციულ ხერხს მიმართა და ჩვენს მიერ ნავარაუდევი ნაბიჯები გადადგა. „ნეტლიქსმა“ სასამართლო პროცესის შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობა წამოაყენა. ამ სამართლებრივ საშუალებებში მრავლადაა აპელირება კალიფორნიის შტატის კანონმდებლობაზე. ჩვენი ოპონენტების არგუმენტები დაახლოებით ისეთია, რომ, ვთქვათ, გონიერმა გარე დამკვირვებელმა ეს სადავო ფრაზა ფაქტობრივად არ უნდა მიიჩნიოს“, — განაცხადა ადვოკატმა მაია მწარიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ნონა გაფრინდაშვილის ადვოკატები „ნეტლიქსისგან“ არანაკლებ ხუთ მილიონ დოლარს მოითხოვენ მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მივყვეთ სასამართლო პროცესს.



ვადიმ ანასტასიადი

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.

ჭადრაკის დღე ქართველ დიდოსტატებთან ერთად დუბაიში

საქართველო, მსოფლიოს 191 ქვეყანასთან ერთად, წლის ყველაზე მასშტაბურ, საერთაშორისო გამოფენა Expo 2020Dubai-ში მონაწილეობს, რომლის ფარგლებში ჭადრაკის დღე აღინიშნება. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენა ქართველ დიდოსტატებს მასპინძლობს. მათივე ცნობით, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და სოფიო გვეტაძე ათასობით დამთვალიერებელს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

ჭადრაკის დღე Expo 2020Dubai-ზე პანელური დისკუსიით გაიხსნა, სადაც ქართველმა დიდოსტატებმა ქალთა როლის გაძლიერებაზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. პანელური დისკუსიის მოდერატორი უჩზწ 2020 ვგიფშ-ის ქალთა პავილიონის ხელმძღვანელი იყო.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ექსპოს“ ფარგლებში — ჩვენთან ერთად, დუბაიში იმყოფება საქართველოს სამი დიდოსტატი და რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი აქტივობა, ასეთი ღონისძიება ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის განვითარების მაღალ ეტაპს, ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება საქართველოს სწორ პოზიციონირებაზე და ბუნებრივია, დადებითად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სწრაფ აღდგენაზე“, — განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა, რომელიც Expo 2020 Dubai-ში მონაწილეობის მისაღებად დუბაიში ვიზიტით იმყოფება.

ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია მეგობრული მატჩი ქართველ დიდოსტატებსა და დუბაის კულტურისა და ჭადრაკის კლუბის წევრებს შორის. საღამო თეატრალიზებული შოუთი დასრულდა — Expo 2020Dubai-ის ცენტრალური სცენა AL Wasl საჭადრაკო დაფად გარდაიქმნა და მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი მორიგი ტრიუმფით წარდგა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ქალ დიდოსტატთა ღონისძიებას ათასობით სტუმართან ერთად ფიდეს პრეზიდენტი ესწრებოდა.

ილონ მასკი - წლის ადამიანი

გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ TIME-მა 2021 „წლის ადამიანად“ SpaceX-ის დამფუძნებელი, Tesla-ს აღმასრულებელმა დირექტორი, მილიარდერი ილონ მასკი დაასახელა.

„წლის ადამიანის წოდება გავლენის მაჩვენებელია. ცოტა ადამიანს თუ აქვს იმაზე დიდი გავლენა დედამიწაზე არსებულ ცხოვრებაზე, და შესაძლოა მის მიღმაც, ვიდრე ილონ მასკს. 2021 წელს მასკი გახდა არა მხოლოდ უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში, არამედ, სავარაუდოდ, ჩვენს საზოგადოებაში მასშტაბური ცვლილების ყველაზე მკაფიო მაგალითი“, — თქვა გამოცემის რედაქტორმა ედუარდ ფელზენტალმა.

ფორბსმა 26 ოქტომბრის მონაცემებით, Tesla-სა და SpaceX-ის ხელმძღვანელი გახდა უმდიდრესი ადამიანი ისტორიაში. იმ დროს მისი ქონება 272.3 მილიარდ დოლარად (240 მილიარდი ევრო) შეფასდა.

წლის გმირები

ჟურნალმა TIME-მა წლის გმირებად კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების შექმნაზე მომუშავე მეცნიერები დაასახელა.

იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ვაქცინების შექმნაში მონაწილეობდნენ, ჟურნალმა შემდეგი პირები გამოყო: იმუნოლოგი **კიზმეკია კორბეტი,** აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის დირექტორის მოადგილე **ბარნი გრემი,** უნგრელი ბიოქიმიკოსი **კატალინ კარიკო** და ამერიკელი **დრიუ ვაისმანი.** ჟურნალი Time-ი აცხადებს, რომ აღნიშნულმა მეცნიერებმა უნიკალური მნიშვნელობის გარღვევას მიაღწიეს და ინოვაციური და ვაქცინის ძალზე ეფექტური პლატფორმა შემოიღეს, რომელიც m-rnm-ს ეფუძნება.

ფუტკარი როგორც აფთიაქარი, ყვავილებისგან გვიმზადებს წამალს...

როგორ გამოვიყენოთ სამკურნალოდ ფუტკრის პროდუქტები

საქართველოში უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა ფუტკრის პროდუქტი როგორც საკვები, ასევე სამედიცინო-სამკურნალო დანიშნულებით. ქართული, ენდემური ფუტკრისა და თაფლის შესახებ ჯერ კიდევ სტრაბონისა და მისი ეპოქის ისტორიკოსების ჩანაწერებშიც ვხვდებით საინტერესო ფაქტებს. ქართული თაფლი იმდროინდელი მსოფლიოს ქვეყნებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების სამკურნალო თვისებებისა და მათი გამოყენების შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება გარემოს დაცვისა და სოფლი მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფუტკრის საკვები ბაზის სპეციალისტის, ქალბატონ ლიზა ბალიაშვილის რჩევები.

მკვდარი ფუტკარი

მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ მკვდარი ფუტკრით მკურნალობის მეთოდს. სამკურნალო ნივთიერება ჰეპარინი და ჰ ეპაროიდი, რომლებიც აჩერებენ ანთებით პროცესებს, აწესრიგებენ წნევას და სისხლძარღვთა სისტემას, წინამდებარე ჯირკვლების ადენომას, სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივად დახოცილი ფუტკარი და არა რაიმე სენით.

ნაყენი ასე მზადდება: 1 სუფრის კოვზ მკვდარი ფუტკრის ფხვნილს დაასხით 1 ჩაის ჭიქა სპირტი, გააჩერეთ ორი კვირა, გავწუროთ და მივიღოთ 12-20 წვეთი ჭამის შემდეგ, 1-2 თვის განმავლობაში. ნაყენი კურნავს გულს, სისხძარღვებს და თირკმლებს.

მკვდარი ფუტკრის ფხვნილი შეიძლება ავურიოთ თაფლში და ვჭამოთ, კარგია მხედველობისთვის: 1 ჩაის კოვზი ახლადდახოცილი ფუტკარი 5-6 წუთით მოვშუშოთ 1,5 სუფრის კოვზ ზეთში, გავაციოთ, დავსრისოთ და მივიღოთ ჭამამდე და დავაყოლოთ რძე.

ფუტკრის რძე

ფუტკრის რძე უნიკალური, ნატურალური პროდუქტია. ზრდის კუნთოვან მასას, ნორმაში მოჰყავს სისხლის ფორმულა. რძის მიღება იწვევს სიმხნევეს, სიცოცხლის ტონუსის ზრდას, უმატებს მადას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას. აუმჯობესებს მხედველობას და მეხსიერებას. არეგულირებს არტერიულ წნევას, ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას. ხსნის ფიზიკურ დაღლილობას. ხასიათდება ანტირადიაციული თვისებებით, ანემიის დროს ხელს უწყობს სისხლის წარმოშობას.

რძის მიღებით იზრდება ორგანიზმის იმუნიტეტი, რითიც უმკლავდება დაავადებას.

მიღების წესი: მოზრდილებისთვის 4-5 წვეთი, ბავშვებისთვის 2 წვეთი ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, უზმოზე. ენაზე ან კოვზზე დაწვეთებით და გამოწუწვნით.

მეორე კურსი შეიძლება მიიღოთ ერთი კვირის შემდეგ. ფუტკრის რძე ინახება მაცივარში 2-დან 6 გრადუს ტემპერატურამდე.

ყვავილის მტვერი

ყვავილის მტვერი შეიცავს ყველა ცოცხალი ორგანიზმის განვითარებისთვის საჭირო ნივთიერებებს. დადგენილია, რომ ყვავილის მტვერს გააჩნია კარგი სამკურნალო თვისებები და შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ შემდეგი ავადმყოფობების დროს: კუჭ-ნაწლავის (გასტრიტი, კოლიტი, ყაბზობა), ანემია და ჰიპერტონიული, წინამდებარე ჯირკვლების ანთების (პროსტატის), ნევრასთენიის, კაპილარების გასამაგრებლად, არტერიული წნევის დასარეგულირებლად, გონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ინფარქტის საწინააღმდეგოდ, ხველებისა და ბრონქიტის, დიაბეტის საწინააღმდეგოდ.

ყვავილის მტვრის მიღების დოზაა: 1 ჩაის კოვზი დღეში 1-ჯერ საუზმის წინ ნახევარი საათით ადრე. უნდა მიიღო წელიწადში 2-ჯერ შემოდგომასა და გაზაფხულზე.

მტვრის მიღება ხდება სუფთა სახით, დაღეჭვით (ჩაის კოვზით), წყალთან, რძესთან ან თაფლთან ერთად.

თუ ალერგია დაგეწყოთ, მიღება უნდა შეწყვიტოთ.

ჭეო

ჭეო ფუტკრის ნატურალური პროდუქტია, რომელსაც ფუტკარი ფიჭის უჯრედში ყვავილის მტვრის ჩატკეპნით ამზადებს და აკონსერვებს თაფლით. ის აუცილებელი საკვებია ფუტკრისა და ბარტყის ნორმალური არსებობისთვის.

ჭეო ფუტკრის ოჯახში ორი ფორმით არის წარმოდგენილი: ფიჭის უჯრედში ჩატკეპნილი გადაუბეჭდავი, ღია და თაფლით გადაბეჭდილი სახით.

ფუტკრის ერთი ოჯახი წლის განმავლობაში ხარჯავს 14 (თოთხმეტ) — 16 (თექვსმეტ) კგ ჭეოს.

ყვავილის მტვრისა და ჭეოს ერთმანეთთან გაიგივება, როგორც ძიმიურად, ასევე ბიოლოგიურად დაუშვებელია.

ჭეო არ არსებობს სუფთა სახით, რომ გამოვიყენოთ სამკურნალოდ. მისი დამზადება ხელოვნურად შეუძლებელია, მით უმეტეს საწარმოო მნიშვნელობით და თუ დამზადდება, ის იძნება ფალსიფიცირებული.

თაფლი

ფუტკარი ჩიჩახვში აგროვებს მცენარის სანექტრეებიდან გამოყოფილ ტკბილ წვენს — ნექტარს და გადაამუშავებს თაფლად.

თაფლი არ შეიძლება ვუწოდოთ პროდლუქტს, რომელიც მიიღება შაქრის სიროფის შერევით ნექტარში. ეს თაფლი არ არის ნატურალური, ეს თაფლი ფალსიფიცირებულია.

ნატურალური თაფლი პირველი საკვები პროდუქტია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თაფლი თავისი თვისებებით შეუცვლელი პროდუქტია. წმენდს სისხლს, ამშვიდებს ნერვებს, ავსებს ორგანიზმს ვიტამინებით. არეგულირებს ნერვული სისტემის მოქმედებას, ნახშირწყლების ცვლას, ტონუსს აძლევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს.

თაფლი შეიცავს ვიტამინების მთელ კომპლექს (B1, B2, B3, B5, PP (ნიკოტინის სიმჟავე), C, K, რომლებიც აღადგენენ მეხსიერებას.

თაფლით მკურნალობენ გულის დაავადებებს: სტენოკარდიას და ჰიპერტონიას, თირკმელების, ღვიძლის, ნერვული სისტემისა და ანემიით დაავადებულებს.

დინდგელი

დინდგელს ანუ „ფუტკრის წებოს“ ფუტკრები აგროვებენ მცენარეების კვირტებიდან გამოყოფილი ფისოვანი ნივთიერებისგან.

დინდგელს, როგორც სამკურნალო საშუალებას, უხსოვარი დროიდან იყენებენ. დინდგელის საუკეთესო თვისებაა ანტიბაქტერიული მოქმედება, მისგან მზადდება საუკეთესო წამლები: დინდგელის ნაყენი, დინდგელის ბურთულები და დინდგელის მალამო. დინდგელს იყენებენ აგრეთვე დასაღეჭად.

დინდგელის ნაყენი

მიღების წესი: მიიღება ყოველ დილას ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე, დღეში ერთჯერ. ერთ ყავის ჭიქა წყალში ჩააწვეთეთ 25-30 წვეთი დინდგელის ნაყენი და დალიეთ.

შველის: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის ანთებით პროცესებს. ხველას, ყელის ტკივილს, ბრონქების ანთებას. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ასევე შველის მუცლის შებერილობას.

მიიღეთ ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ დაისვენეთ ერთი თვე.

დინდგელის ბურთულები გამოიყენება:

ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის ანთების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს. წმენდს ორგანიზმს, შველის ხველას და ბრონქების ანთებას, უკუჩვენება არა აქვს.

დინდგელის ბურთულის ხმარების წესი: 1 (ერთი) ბურთულა უნდა ჩაყლაპოთ უზმოზე, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მეორე ბურთულა უნდა ჩაყლაპოთ სამი ღდის შემდეგ, ე.ი. მეოთხე დღეს, ასევე ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, მესამე ბურთულა მიიღება ისევე, როგორც წინა ორი. ამით მთავრდება ერთი კურსი.

ფუტკრის შხამი

ფუტკრის შხამი, ბიოლოგიურად ყველაზე რთული და ძვირად ღირებული პროდუქტია.

მტრებისგან საკუთარი თავისა და ბუდის დასაცავად ფუტკარს მუცელში აქვს სპეციალური დამცველი აპარატი — ნესტარი, შხამიანი, ჯირკვლებით შხამის დასაგროვებელი ბუშტითა და ისრებით.

შხამის ძირითადი ნაწილი გამოიყოფა დიდი ჯირკვლიდან, აქვს მჟავე რეაქცია, პატარა ჯირკვალი გამოყოფს შხამის მცირე ნაწილს, რომელსაც აქვს ტუტე რეაქცია.

ფუტკრის შხამი გამჭვირვალე ფერისაა, აქვს მკვეთრი, არომატული, თაფლისმაგვარი სუნი, მწარე გემო. ფუტკრის შხამი მოქმედებს ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოლოგიურ პროცესზე, მას გააჩნია ძლიერი ანტიბიოტიკური თვისებებიც.

შხამის ქიმიური შემადგენლობა მეტად რთულია, მასში შედის: ცილოვანი, ცხიმოვანი, ორგანული და მინერალური შენაერთები, თავისუფალი ამინომჟავები, ნუკლეინის მჟავები, ცხიმები, ფერმენტები, მელიტინი და აპამინი.

ფუტკრის შხამს ექიმები ფართოდ იყენებენ ჰიპერტონიის, რადიკულიტის, ნიკრისის ქარის, ბრონქიალური ასთმის, იშიაზის, შაკიკის, წყლულების, ათეროსკლეროზის, თრომბოფლებიტისა და სხვა შემთხვევებში.

შხამისგან დამზადებული წამლების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე არ შეიძლება.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სულიკო ბოლქვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** სულიკო ბოლქვაძე (პ/ნ 61006011562), ხელვაჩაური, ს. ახალშენი, მე-6 VII ჩიხი №6

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ხელვაჩაური, ს. ახალშენი (საკადასტრო კოდი: 22.23.03.400).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7941.30 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 14 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 27 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76002421;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 760024

6. **მოვალე:** ზაურ კონცელიძე (პ/ნ 61001049159), ბათუმი, თამარ მეფის დს. №16, ბინა №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76002421; ლოტის ნომერი: 760024).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 27 დეკემბრის 10:00 საათამდე.

◎ ძალოსნობა

დავითაძის ნვლილი

ცოტა ვინმე თუ შეედრება სტაბილურობით 23 წლის რევაზ დავითაძეს.

89 კილოგრამი წონითი კატეგორიის შტანგისტი ევროპის ჩემპიონი და ორგზის ვიცე-ჩემპიონია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატებზე უკვე მესამედ მოიხვეჭა ბრინჯაოს მედალი, თანაც ორჭიდში მხოლოდ თითო კილოგრამით ჩამორჩა კორეელ და მასპინძელ — უზბეკ მეტოქეებს — 370 კგ.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის აქტივშია აგრეთვე ატაცში მოპოვებული „ვერცხლი“ — 171 კგ, მაგრამ, სამწუხაროდ, აკვრაში 199 კგ-ის დაძლევის შემდეგ 203 კგ-ზე გაცუდებულმა ცდამ მეტის მიღწევის საშუალება აღარ მისცა.

შეგახსენებთ, რომ ტაშკენტში მიმდინარე ფორუმი შოთა მიშველიძის დამსახურებული სამი ვერცხლის მედლით გავხსენით.

◎ აქტუალური თემა

სათამაშო ბიზნესი ქართული სპორტის სპონსორობის გაუქმებას აანონსებს

13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონპროექტი სათამაშო ბიზნესისთვის ახალი რეგულაციების დანერგვის თაობაზე. აღნიშნული რეგულაციები ითვალისწინებს სათამაშო ბიზნესისათვის საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვნად (70%-მდე) გაზრდას, რეკლამირების (გარდა სპონსორობისა) სრულად აკრძალვას და მოთამაშეთა ასაკობრივი ქვედა ზღვრის 25 წლამდე გაზრდას. აღნიშნული კანონპროექტის განხილვები დაჩქარებული წესით მიმდინარეობს და პარლამენტი მიმდინარე კვირაში აპირებს მის დამტკიცებას.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ინიციატივები სპორტის სფეროს ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეაფასა ქართული სპორტის მიერ დაფინანსების მოპოვების ახალ შესაძლებლობად. ასოციაციის ფორმატში, საქართველოში ლიცენზირებული ყველა სათამაშო ვებ-გვერდის ოპერატორის სახელით, გვსურს, აღნიშნული საკითხი განვმარტოთ შემდეგნაირად:

აზარტული თამაშების კომპანიების სასპონსორო აქტივობები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა და ქართულ სპორტში ჩაიდო რამდენიმე ათეული მილიონი ლარი, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ჩემპიონატებისა თუ სპორტსმენების განვითარებას. აღნიშნული სასპონსორო კამპანიების უმთავრესი დანიშნულება, პირველ რიგში, ოპერატორების მიერ აღებული სოციალური პასუხისმგებლობაა და, ასევე, ემსახურება კომპანიების იმიჯის ამაღლებას. ამ მიმართულებით გამოყოფილი უზარმაზარი ფულადი სახსრებით ფინანსდებოდა ბიზნესის სტანდარტული საქმიანობა, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ მოქმედ საკანონმდებლო პირობებში — სხვა მარკეტინგული ან ფინანსური გამართლება აღნიშნულ სასპონსორო კამპანიებს არასოდეს ჰქონია.

GGA
აარპ საქართველოს სათამაშო ბიზნესის ასოციაცია
NNLE Georgian Gambling Association

გვსურს დაგარწმუნოთ, რომ მოსალოდნელი რეგულაციები უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცევს სათამაშო ბიზნესის სექტორში დასაქმებულ კომპანიებს, რაც ავტომატურად გამოიწვევს ხარჯების ოპტიმიზაციის საჭიროებას და შეუძლებელს გახდის ქართული სპორტის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებას. კანონპროექტით დაშვებული სასპონსორო სარეკლამო საქმიანობა არ წარმოადგენს კომპანიებისათვის მარკეტინგულად თუ ფინანსურად გამართლებულ დანახარჯს, აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, დაანონსებული საკანონმდებლო შეზღუდვების დამტკიცების პირობებში სათამაშო ბიზნესის სექტორს მოუწევს უარი თქვას სპორტის სპონსორობაზე.

მოკლედ

ფარიკაობა. პო (საფრანგეთი). საერთაშორისო ტურნირი. „ვერცხლი“ სანდრო ბაზაძე. მანვე „ორლეანის“ შემადგენლობაში საფრანგეთის საკლუბო ჩემპიონატის **„ოქრო“** მოიპოვა.

კოლომბუსი (აშშ). ჩრდილოეთ ამერიკის თასის გათამაშება. პირველი დივიზიონი. **„ბრინჯაო“** — თეოდორა კახიანი — მეკლინგი.

ძიუდო. პარიზი (საფრანგეთი). საკლუბო ჩემპიონთა ლიგა. **„ბრინჯაო“** — „გოლდენ გორი“ (ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ვლადიმერ ახალკაცი, ლუკა მაისურაძე, გელა ზაალიშვილი).

რაგბი. დიდი 10. გამოტოვებული შეხვედრები. „ყაზბეგი“— „ბათუმი“ — 11:74, „ლოკომოტივი“ — „აია“ 24:31.

სატურნირო მდგომარეობა: „ბათუმი“ — 38, „ხარები“ — 32, „ყოჩები“ — 30, „ლელო“ — 26, „აკადემია“ — 22, „არესი“ — 20, „ლოკომოტივი“ — 16, „აია“ — 15, „იუნკერები“ — 8, „ყაზბეგი“ — 3 ქულა.

კალათბურთი. ევროლიგა. „ჟალგირისი“ — ცსკა 51:73. 2-კვირიანი მკურნალობის შემდეგ არმიელებს **თორნიკე შენგელია** 3 ქულით, 2 მოხსნით, 1 დაფარებით და 4 პასით დაუბრუნდათ (14 წუთში).

◎ ბრძენთა თამაში

სკანდინავიელი - ხუთგზის!

31 წლის მაგნუს კარლსენის სახით მსოფლიო ჭადრაკს ხუთგზის ჩემპიონი ჰყავს.

ნორვეგიელი დიდოსტატი სატიტულო ბრძოლის მეორე ნახევარში დიდ უპირატესობას დაეუფლა რუს იან ნეპომნიაშჩის წინააღმდეგ, დასკვნითი 6 პარტიიდან 4 მოიგო და ვადამდე მიაღწია მიზანს — 7,5:3:5.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, მან გვირგვინი მოიხვეჭა ინდოელ ვიში ანანდთან (2-ჯერ), რუს სერგეი კარიაკინთან და ამერიკელ ფაბიანო კარუანასთან გამარჯვებით.

◎ ფორმულა-1

ტახტზე მაქსი ავიდა

ნიდერლანდელმა მაქს ფერსტაპენმა ფორმულა-1-ში ბრიტანელი ლუის ჰემილტონის ჰეგემონია აბუ დაბის გრან-პრის მოგებით დაამხო!

„რედ ბულის“ პილოტს საამისოდ სეზონში მე-10, ხოლო კარიერაში მე-20 რბოლის მოგება დასჭირდა.



მართალია, გადამწყვეტი ეტაპი „მერსედესის“ საკულტო ფიგურამ უკეთ დაიწყო და კარგა ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მერვედ მოხვეჭის შანსს, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა ის ავარია, რომელიც ფინიშამდე 5 წრით ადრე ნიკოლა ლატიფის „უილიამსს“ შეემთხვა.

გაჩერებული ბოლიდის გამო ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოყვანისას ჰემილტონს უკვე გავლილი ჰქონდა ბოქსების შესასვლელთან, მისმა მეტოქემ კი მოასწრო იქ შესვლა და საბურავების გამოცვლა.

საერთო ჩათვლა: მაქს ფერსტაპენი — 395,5 ქულა, ლუის ჰემილტონი — 387,5 ქულა, ვალტერი ბოტასი (ფინეთი, „მერსედესი“) — 226 ქულა.

კონსტრუქტორთა თასი: „მერსედესი“ — 613,5; „რედ ბული“ — 585,5; „ფერარი“ — 323,5 ქულა.

◎ ევროტურნირები

წყვილები კი ასეთია

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა წილისყრა კურიოზული ფაქტის გამო, პირველად ევროტურნირების ისტორიაში, განმეორებით გაიმართა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რამდენიმე ტოპ-წყვილი მიგვეღო.

ჩემპიონთა ლიგა

15-16-22-23 თებერვალი — 8,9,15,16 მარტი.

„ზალცბურგი“ — „ბაიერნი“,
„სპორტინგი“ — „სიტი“,
„ბენფიკა“ — „აიაქსი“,
„ჩელსი“ — „ლილი“
„;ატლეტიკო“ — „მანჩესტერი“,
„ვილიარეალი“ — „იუვენტუსი“,
„ინტერი“ — „ლივერპული“,
„პარი სენ — ჟერმენი“ — „რეალი“.

ევროპა ლიგა

17-24 თებერვალი

„სევილია“ — ზაგრების „დინამო“,
„ატალანტა“ — „ოლიმპიაკოსი“,
„ლაიფციგი“ — „სოსიედადი“,
„ბარსელონა“ — „ნაპოლი“,
„ზენიტი“ — „ბეტისი“,
„დორტმუნდი“ — „რეინჯერსი“,
„შერიფი“ — „ბრაგა“,
„პორტუ“ — „ლაციო“.

კონფერენს ლიგა

17-24 თებერვალი

„მარსელი“ — „ყარაბაღი“,
„ეინდჰოვენი“ — „მაკაბი“,
„ფენერბახჩე“ — „სლავია“,
„მიდტიულანდი“ — პაოკი,
„ლესტერი“ — „რანდერსი“,
„სელტიკი“ — „ბოდო გლიმტი“,
„სპარტა“ — „პარტიზანი“,
„რაპიდი“ — „ტოტენჰემი“ ან „რენი“.



საქართველოს სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, მთავრობის პრემიერი, ორგანიზატორი და დიდი ეროვნული პატრიოტი, არაჩვეულებრივი უფროსი მეგობარი და პირნათელი მოქალაქე — ასეთი იყო

ოთარ ფაცაცია

მის გარდაცვალებას ნამდვილად გულისტკივილით განვიცდით. გვეამაყება, რომ მისი თანამოაზრეები ვიყავით.
ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

ნოდარ ჭითანავა, როინ მეტრეველი, ბაკურ გულუა, გივი აბდუშელიშვილი, რეზო არველაძე, გურამ გუნავა, გუჩა დათუნაიშვილი, ჯემალ კვირტია, ომარ მარგველაშვილი, რამინ ქეცბაია, ოთარ ჭითანავა, ბიჭიკო ჯანჯღავა.

ვაჟა ლორთქიფანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ღირსეული შვილისა და ჭეშმარიტი პატრიოტის, უკეთილშობილესი პიროვნების

ოთარ ფაცაციას

გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს მის ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მეგობრებს.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



გურამ ახალაია ოჯახით მწუხარებას გამოხატავს დიდი მამულიშვილის, ბატონ

ოთარ ფაცაციას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ყველაზე რთულ პერიოდში, დაიკავა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და თავისი უბრალოებით, ადამიანობით, ენციკლოპედიური ცოდნითა და პროფესიონალიზმით, ჯანსაღი პრინციპულობით და კოლხური მორალით ღირსეულად გაართვა თავი ამ ურთულესი პერიოდის გამოწვევებს.

ოთარ ფაცაციას ცხოვრება და მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორი თავგანწირვით უნდა ემსახურო შენს სამშობლოს, მშობელ ხალხს და ქვეყნის აღმშენებელობას.

მჯერა, მადლიერი თაობის ობიექტური და მიუკერძოებელი მეისტორიე გამორჩეულ ადგილს დაუმკვიდრებს ამ ღირსეული მამულიშვილის სახელს საამაყო და სახელოვან ქართველთა შორის.

ლია ნადარეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პიროვნების, უსპეტაკესი ადამიანის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი პატრიოტის

ოთარ ფაცაციას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

იუზა ყაჭეიშვილი



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი **იუზა ლევანის ძე ყაჭეიშვილი.**

იუზა ყაჭეიშვილი, XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პროზის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენელი იყო და თავისი შემოქმედებით პატიოსნებისა და სიკეთის წმიდათაწმიდა იდეალების დამკვიდრებას ემსახურებოდა.

იუზა ყაჭეიშვილი დაიბადა 1937 წლის 3 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაამაღლებაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1955 წელს, იუზა ყაჭეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა.

იუზა ყაჭეიშვილი სხვადასხვა დროს მუშობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად, გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ლიტერატურულ წრეს...

იუზა ყაჭეიშვილი ლიტერატორთა იმ ფეხბედნიერ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელთა დებიუტმა იმთავითვე მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. 1958 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა მისმა პირველივე მოთხრობა „ზღვის ლომმა“ აალაპარაკა გემოვნებიანი ქართველი მკითხველი. უფრო მეტიც, ქართული კინოს ლეგენდამ რეზო ჩხეიძემ ამ მოთხრობის მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღვის ბილიკი“, რომელშიც მთავარი როლი დიდმა სერგო ზაქარიაძემ შეასრულა.

მას შემდეგ იუზა ყაჭეიშვილის ნაწარმოებები — მოთხრობები, რომანები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

იუზა ყაჭეიშვილის მოთხრობები, ისეთები, როგორიცაა „გაქცევა“, „სოფლის გზაზე“, „პალადიონი“, „ძახილი“,„თოვლი“, „მზეო, თიბათვისა“, ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობდა. ამ მოთხრობებს ხომ მხატვრული დამაჯერებლობა, ღრმა ფსიქოლოგიზმი, გულწრფელობა გამოარჩევს.

იუზა ყაჭეიშვილის შემოქმედებით გამარჯვებად იქცა მისი საყურადღებო რომანი „გამოცხადება“, რომელიც საბჭოური იმპერიული ტოტალიტარიზმის ზეობის ხანაში ქართველი ხალხის ეროვნული გამოფხიზლების საშვილიშილო საქმეს ემსახურებოდა. ამ რომანში მთელი სისავსით გამოჩნდა მწერლის ნიჭიერება, ტიპებისა და სახეების შქმნის უნარი. იუზა ყაჭეიშვილმა შეძლო წარმოეჩინა ზნეობრივ-მორალური ხრწნის ის სიღრმისეული პროცესები, რომლებმაც საბოლოოდ დაანგრია ერთი შეხედვით უძლეველი, მაგრამ ფაქტობრივად ძირმომპალი კოლოსი. ქართველმა კინემატოგრაფისტებმაც ჯეროვნად შეაფასეს რომანის ღირსება და მის მიხედვით შექმნეს სამსერიანი მხატვრული ფილმი, რომელშიც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა გიორგი ხარაბაძის აქტიორულმა ტალანტმა.

იუზა ყაჭეიშვილის კალამს ეკუთვნოდა არაერთი მნიშნელოვანი პუბლიცისტური სტატია თუ მხატვრული ნარკვევი. ჩინებულად თარგმნა შერვუდ ანდერსონისა და ერნესტ ჰემინტუეის მოთხრობები.

მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით აღინიშნა.

წავიდა ჩვენგან დამაშვრალი შემოქმედი, რომელიც პირნათლად ემსახურა სამშობლოს, მშობელ ხალხს. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს!

საქართველოს მწერალთა კავშირი

განცხადება

გაცნობებთ რომ ნოტარიუს თამარ ჩაფიძის მიერ (სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე; ქ. ქუთაისი ირ, აბაშიძის გამზ №7/25) მიმდინარეობს 14,01,2008 წელს გარდაცვლილი ნათელა ამბროლაძის (პ/ნ 21001020683) სამკვიდრო საქმის წარმოება, მემკვიდრეები ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოცხადდით აღნიშნულ სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი
თამარ ჩაფიძე

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ივანე ჩხაიძე: არცერთი ვაქცინის ორი დოზა საკმარისი არ არის „ომიკრონის“ წინააღმდეგ დაცვის მისაღწევად!

იმუნიზაციის მრჩეველთა ეროვნული ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით, ახალ შტამთან მიმართებაში აქცენტი ბუსტერ დოზაზე კეთდება.

როდესაც ჩვენ ახალი შტამის საფრთხეებს ვაფასებთ, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა — მოქმედებენ თუ არა ვაქცინები მის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, რომ დღეისთვის 5 კომპანია აცხადებს, რომ მას დასჭირდება სულ რამდენიმე კვირა იმისთვის, რომ შექმნას მიზანმიმართულად „ომიკრონის“ წინააღმდეგ მოქმედი ვაქცინა...

თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ნანა ბარბაქაძეს და ნინო კალატოზიშვილს, ქალბატონი

ნელი კალატოზიშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები დოდო, ხათუნა, შოთა ოჯახებით, შვილიშვილები ლაშა, გიალო, კახა, ნიკა, ანა, ძმის შვილები, ძმის შვილიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სევერიან (ნოდარი) ივანეს ძე პაპიძე

დაკრძალვა კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში.

იმედისმომცემი საერთაშორისო კინოფესტივალი

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულებსა და მონაწილეებს უმასპინძლა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა კინოფესტივალის ორგანიზატორებს მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისა და ფესტივალის ჩატარებისათვის.

„ძალიან კარგის ნიშანია, რომ ეს ფესტივალი უკვე 22 წელია ტარდება, ცოცხლობს და წელსაც ასე წარმატებულად გაიმართა. კინომ ძალიან მძიმე დღეები გაიარა, პანდემიამ დააზარალა კინო და მაყურებელი: არა მხოლოდ კინოინდუსტრიაში მომუშავენი — მსახიობები და რეჟისორები, არამედ მაყურებლებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება კინოდარბაზიდან ეყურებინათ ფილმებისთვის და ამ კუთხით, ამ ფესტივალის ჩატარებამ ეს ნაკლი ერთგვარად შეავსო. ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალმა შეინარჩუნა საერთაშორისო ხასიათი.

ძალიან დიდი გამოწვევაა ქართული კინოსთვის ის, რომ თბილისი მედიახელოვნების მიმართულებით იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის წევრი გახდა და იუნესკოსგან მივიღეთ კრეატიული ქალაქის სახელი. ეს ფესტივალი ჯდება ამ სიახლეში.

ეს ერთგვარად არის იმის აღიარება, რომ ჩვენ ვიყავით და ვართ კინოს ქვეყანა, მაგრამ მუდამ უნდა ვამტკიცოთ, რომ არა მხოლოდ ვიყავით, არამედ ვართ და ვიქნებით ერთ-ერთი წარმოჩენილი კინოს ქვეყანა. ფესტივალის ჩატარებამ მოგვცა იმის განახლებული სურვილი, რომ ამ დარგში კიდევ უფრო მეტი მოხდეს და წინ წავიწიოთ.

ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ევროპას მივუახლოვდეთ და შევუერთდეთ, გვინდა, რომ როგორც ევროპაში, საქართველოშიც იყოს მუნიციპალური კინო, არსებობდეს არა მხოლოდ ის კომერციული ნაწილი, რომელიც აუცილებელია და ამ ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილია, არამედ მუნიციპალიტეტმაც შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში.

ჩემი ძალიან დიდი სურვილია, შევინარჩუნოთ ისტორიული სახე — თეატრები, რომლებიც ჩვენი კინოისტორიის ნაწილია, ანუ აპოლოს თეატრი, რუსთაველის თეატრი, კინოსახლი, ეს სამივე რაღაცნაირად აღდგეს, გაცოცხლდეს, დაუბრუნდეს კინოს, გახდეს ჩვენი ნიშა. ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულ ტურისტებს, რომლებსაც გაგონილი აქვთ ქართული კინოს შესახებ, უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ აქ ადგილზე და დარბაზში ნახონ ქართული კინო.

ვისურვებდი, რომ უფრო სწრაფად წავიდეთ წინ, რომ ჩვენი კინოს ორგანიზაცია ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდეს ერთ კინოორგანიზაციად. მინდა, რომ იყოს ერთი ცენტრი, რომელსაც უნდა მიეცეს მეტი საშუალებები; ერთი ცენტრი, სადაც ყველა იქნება; ერთი ადგილი, საიდანაც კოორდინაცია მოხდება და რომელიც იქნება წამყვანი ქართული კინოს გაცოცხლების საქმეში“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიღებაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი **გაგა ჩხეიძე** და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი **ნინო ანჯაფარიძე**, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს, ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში, ფესტივალის დაარსების დღიდან მისი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

ფოტოხელოვანის შემოქმედებას ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობს

ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანის ახალი პროექტი — ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ბადრი ვადაჭკორიას ობიექტივში. უნიკალური ძეგლებისა და ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი ნამუშევრები საექსპოზიციო სივრცეშია გამოფენილი.

ბადრი ვადაჭკორიამ საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის 25 ძეგლი კიდევ ერთხელ კულტურის სამინისტროს პროექტის ფარგლებში გადაიღო. ეროვნული ბიბლიოთეკის საექსპოზიციო დარბაზში დამთვალიერებელი ფოტოგრაფის მიერ შერჩეულ 50 ფოტოს სამი დღის განმავლობაში ნახავს. საქართველოს კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ბადრი ვადაჭკორია სამინისტროს შეთანხმებით გათვალისწინებულზე ბევრად მეტ ფოტოს გადასცემს, რომლებიც საქართველოს კულტურულ ძეგლებს ასახავს.

„თუკი სამინისტროს არქივს უნდა ჩაბარებოდა 500-მდე ფოტოგრაფიული მასალა, ის აბარებს 1000-ზე მეტ უნიკალურ ფოტომასალას, რომლებიც წლებს გაუძლებს და ჩვენს მომავალ თაობებს დაეხმარება, ნახონ, რომელი კედლის მხატვრობა როგორ გამოიყურებოდა 2021 წელს და როგორი იყო ამა თუ იმ ძეგლის გარეგნული მხარე თუ ინტერიერი. კიდევ ოთხი ფოტოგრაფი იყო პროექტის გამარჯვებული და ისინიც ეტაპობრივად, წლის ბოლოსთვის აბარებენ სამინისტროს თავიანთ ნამუშევრებს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა. მინისტრის თქმით, აღნიშნული პროექტი აუცილებლად გაგრძელდება.

საბავშვო ევროვიზიაზე - მეორე ნომრად

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენელი ნიკო ქაჯაია 19 დეკემბერს „ლა სენ მუსიქალის“ სცენაზე მეორე ნომრად წარდგება. 19 მონაწილე ქვეყნის რიგითობა გახსნით ცერემონიაზე გახდა ცნობილი. დღეიდან კონკურსანტები პირველ რეპეტიციებს დიდ სცენაზე გაივლიან.

პროექტ „რანინას“ გამარჯვებული ნიკოლოზ ქაჯაია საქართველოს სახელით საბავშვო ევროვიზიაზე გიგა კუხიანიძის სიმღერით „დავაგროვოთ ღიმილები“ (lets count the smiles) წარდგება. რიგით მე-19 საბავშვო ევროვიზია პარიზში 19 დეკემბერს გაიმართება და მასში მონაწილეობას 19 ქვეყანა მიიღებს. ტრადიციულად, პირდაპირ ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ. 17 დეკემბრის 23 საათიდან კი საბავშვო ევროვიზიის ოფიციალურ ვებგვერდზე Junioreurovision.tv ხმის მიცემა დაიწყება.

მის სამყარო ინდოელი ჰარნაზ სანდუ გახდა

ისრაელში გამართულ მის სამყაროს კონკურსში ინდოელმა ჰარნაზ სანდუმ გაიმარჯვა. კონკურსის დროს სცენაზე გამოსვლისას სანდუმ ახალგაზრდებს მოუწოდა: „იცოდეთ, რომ უნიკალურები ხართ და ეს არის ის, რაც გალამაზებთ, შეწყვიტეთ საკუთარი თავის სხვებთან შედარება“. კონკურსში გამარჯვებისთვის 80 ქალი მთელი მსოფლიოდან იბრძოდა.

კონკურსმა, ასევე მიიპყრო ყურადღება პოლიტიკური ამბების გამო, პალესტინელებმა კონკურსანტებს მოუწოდეს გაეპროტესტებინათ ისრაელის დამოკიდებულება პალესტინელების მიმართ და რამდენიმე ქვეყანამ ამ მიზეზით კანდიდატურა მოხსნა. შექმნილ დაპირისპირებას მის ისრაელი ნოა კოჩვა გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მის სამყარო არ უნდა იყოს დაფუძნებული პოლიტიკაზე.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1002; ევრო - 3.4924;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1068;
100 რუბლი - 4.2234; თურქული ლირა - 0.2177;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8218;
1000 სომხური დრამი - 6.2838.

ამინდი 15 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge